პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 257 (10651) | პარასკევი, 2 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ განახორციელეთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ უპირატესად ვითარდებოდეს მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან)

ბიბლიოთეკა

## სრულად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები კოლმეურნეობებში

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის პროგრამას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა. ახლა ჩვენში ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება იმ რაოდენობამდე, რომელიც დააკმაყოფილებს მათზე ქვეყნისა და ხალხის მზარდ მოთხოვნილებებს.

მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მშრომელთა გამარჯვებები მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში ნათლად ადასტურებს სოფლის მეურნეობის დარგში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის სისწორეს. მოწინავეთა მუშაობის მაგალითი ამავე დროს ცხადყოფს, თუ რა აურაცხელი რეზერვები და შესაძლებლობები აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ სოფლის მეურნეობას შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ახლა სოფლად შეუნელებელი დაძაბულობით გრძელდება მინდვრის სამუშაოები. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები არ ზოგავენ ძალებს, რომ სწრაფად დაამთავრონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღება-დაბინავება, დროულად მოიხადონ ვალი სახელმწიფოს წინაშე, შექმნან მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზა, მოხნან მეტი მზრალი. ეჭვი არ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ამ რთული კომპლექსიდან გამარჯვებული გამოვა ის, ვინც მობილიზაციას გაუკეთებს და სწორად გაანაწილებს შრომით რესურსებსა და ტექნიკურ საშუალებებს, დაამყარებს კოლმეურნეობებში რკინისებურ დისციპლინას, განუხრელად აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარებისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს გვიჩვენებენ მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობები. შორს წაგვიყვანდა რესპუბლიკის იმ კოლმეურნეობათა სახელების ჩამოთვლა, რომლებიც სამეურნეო ფრონტზე წარმატებას აღწევენ ძალთა უნარიანი განაწილებით, კოლმეურნეთა მაღალი შრომითი აქტივობით, ტექნიკის სწორად გამოყენებით.

ამინდის რთული პირობების მიუხედავად, რესპუბლიკაში წელს უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ისეთი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, როგორიც არის საშემოდგომო თესვა, შაქრის ჭარხლის ამოღება, საკვების დამზადება და სხვ. მაგრამ მინდვრებსა და პლანტაციებში, ვენახებსა და ბაღებში, მეცხოველეობის ფერმებსა და პირუტყვის გადარეკის ადგილებში ჯერ კიდევ ბევრი გადაუდებელი საქმეა. თუ ზოგან დაუშვებლად ჭიანურდება ზოგიერთი სამუშაო, ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობით და დაბალი დისციპლინით. მაგალითად, განა შესაწყნარებელია, რომ გორის რაიონის სოფელ ბნავისის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში მუშახელის ნაკლებობის გამო ჩამორჩა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მაშინ როცა არტელის ბევრი შრომისუნარიანი წევრი საზოგადოებრივ საქმეებზე არ გამოდის და თავისი პირადი მეურნეობით არის გართული? არ შეიძლება იმის თქმა, რომ გორიდან ათიოდე კილომეტრით დაშორებულ ამ კოლმეურნეობაში არ მიდიოდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და არ მსჯელობდნენ არტელში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ აქ გარდატეხა არ იგრძნობა.

შრომითი რესურსების სუსტად გამოყენებას და კოლმეურნეთა შორის დაბალ დისციპლინას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ წელს ზუგდიდის რაიონში გაჭიანურდა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ 1956 წლის მეორე პერიოდში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა მესამედზე მეტს — 34 პროცენტს. მაღალია კოლმეურნეთა საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამოუსვლელობის პროცენტი დუშეთის, წალკის, ქუთაისის, ზესტაფონისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. როგორც ჩანს, ამ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა აქამდე ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ მასებში პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას.

საყოველთაოდ ცნობილია მტს-ების გადამწყვეტი როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი მტს-ები (ალვანი, ადიგენი, წალკა, ზნაური და სხვ.) სრულად ვერ იყენებენ მათს განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს, ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასჭირდება ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ჩამორჩენილი მტს-ების მოწინავეთა დონემდე ამაღლებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელება.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ვალდებული არიან სათანადო ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების საკითხებს, სისტემატური კონტროლი დააწესონ შრომადღეების დარიცხვასა და ავანსების გაცემაზე.

კოლმეურნეობებში შრომითი რესურსების სრულად გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა მუდმივი საწარმოო ბრიგადის, როგორც საარტელო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, განმტკიცება. ამიტომ საჭიროა ყოველმხრივ განვამტკიცოთ საწარმოო ბრიგადა, გავაუმჯობესოთ ბრიგადირთა შემადგენლობა, ავამაღლოთ მათი აგრონომიული და ეკონომიური ცოდნის დონე, მინიმუმამდე დავიყვანოთ ბრიგადებიდან ხალხის მოწყვეტა სხვადასხვა შიდასამეურნეო საქმეებზე, ვიმუშაოთ გეგმიანად, პერსპექტივით, ყოველდღიური კონტროლი დავაწესოთ სამუშაოთა შესრულებისადმი.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობებში განხორციელდა და რომლებიც მიმართულია კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარებისაკენ. ამიერიდან კოლმეურნეებს საშუალება ეძლევათ უფრო დამოუკიდებლად, ვიდრე წინათ, გადაჭრან საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ არტელის საზოგადოებრივი და კოლმეურნეთა პირადი ინტერესებიდან.

კოლმეურნეთა შემდგომი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, მათი ინიციატივის განვითარება, კი არ ამცირებს, არამედ ამაღლებს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობისათვის. ამიტომ ამ ორგანოების ამოცანაა უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ სოფლად პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, ყოველდღიურად იზრუნონ კოლმეურნეთა აღზრდისათვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

წინასაოქტომბრო დღეებში მძლავრად გაისმის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებათა გულშიჩამწვდომი სიტყვები:

**„კოლმეურნეებო! მეტი შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინეთ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეების მართვაში, განამტკიცეთ შრომის დისციპლინა, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება. უზრუნველყოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება!**

კოლმეურნეობებში შრომითი რესურსების სრულად გამოყენებით ახალი მიღწევები მოვიპოვოთ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების საქმეში!

## კუსტანაის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დამატებით ჩააბარეს სახელმწიფოს 20 მილიონი ფუთი პური

კუსტანაის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც იტყობინებიან, რომ შეასრულეს სახელმწიფოსათვის 260 მილიონი ფუთი პურის ჩაბარების ნაკისრი ვალდებულებანი, ვალდებულება იკისრეს დამატებით ჩააბარონ 20 მილიონი ფუთი მარცვალი. ეს ვალდებულება აგრეთვე შესრულებულია. კუსტანაის ოლქმა მიმდინარე წელს სახელმწიფოს სულ ჩააბარა 280 მილიონი ფუთი პური.

## საქართველოს სსრ მთავრობის განცხადება

### ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთის და ისრაელის შეიარაღებული აგრესიის გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა, მთელი ქართველი ხალხი უდიდესი გულისწყრომით შეხვდნენ ცნობას ეგვიპტის სახელმწიფოსა და მისი ხალხის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთის და ისრაელის მთავრობებისა და შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედების შესახებ.

გამოდიან რა როგორც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ნების მორჩილი შემსრულებელნი, ისრაელის მმართველმა ექსტრემისტულმა წრეებმა და მთავრობამ უგულებელყვეს თავიანთი ხალხის, თავიანთი სახელმწიფოს მომავლის ინტერესები და დაადგნენ აგრესიის დანაშაულებრივ გზას. ეგვიპტის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარების შეჭრა უეჭველია დასავლეთის სახელმწიფოების და, პირველ რიგში, ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ პირდაპირი წაქეზების შედეგია.

ხალხები აღმოჩნდნენ უაღრესი საშიშროების წინაშე, შეიქმნა რეალური საფრთხე მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

სუეცის არხის ხელში ჩაგდების მიზნით ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ, დაადგნენ ეგვიპტის წინააღმდეგ აშკარა ინტერვენციის გზას. თვითმფრინავები და სამხედრო ხომალდები ბომბავენ ეგვიპტის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ ეგვიპტის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევაა.

საქართველოს მშრომელები გადაჭრით გმობენ ამ აგრესიულ მოქმედებას და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ ეგვიპტელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს სსრ მთავრობა, ქართველი ხალხი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მთავრობები მსოფლიოს ქვეყნებისა, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, მთელი პროგრესული კაცობრიობა სასტიკად დაგმობენ ინტერვენტების მოქმედებას.

ჩვენ მოვითხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან დაუყოვნებლივ მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი აგრესორთა წინააღმდეგ, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს სუვერენული ეგვიპტის სახელმწიფოს კანონიერი უფლებები.

ქ. თბილისი, 1956 წლის 1 ნოემბერი.

## სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტი შუქრი კუატლი მოსკოვში ჩამოვიდა

31 ოქტომბერს საღამოს მოსკოვი გულითადად შეხვდა სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტს შუქრი კუატლის, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ოფიციალური ვიზიტით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით. ქალაქის მაგისტრალები კრემლიდან ცენტრალური აეროდრომისაკენ მორთულია სირიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, წითელი ქსოვილებით, რომლებსაც არაბულ და რუსულ ენებზე აწერია სირიისა და არაბთა აღმოსავლეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის პრეზიდენტ შუქრი კუატლისადმი მისალმების სიტყვები.

ცენტრალურ აეროდრომზე შეიკრიბნენ ასობით მოსკოველი მშრომელი, საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი. საპატიო სტუმრის შესახვედრად აქ მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი, მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, გენერლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

17 საათსა და 15 წუთზე დაეშვა თვითმფრინავი, რომლითაც ჩამოვიდა სირიის პრეზიდენტი. სირიის პრეზიდენტს შუქრი კუატლის, რომელიც მეუღლითა და ქალიშვილითურთ ჩამოვიდა კიბეზე, მიესალმნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, დ. ტ. შეპილოვი. პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი რაშად ჯაბრი, საგარეო საქმეთა მინისტრი სალაჰ ედ-დინ ბითარი, თავდაცვის მინისტრი აბდულ ჰასიბ რასლანი და სხვა ოფიციალური პირები.

პრეზიდენტმა შუქრი კუატლიმ მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი და მიესალმა აეროდრომზე შეკრებილთ. გამოხატეს რა მეგობრული გრძნობები სირიის ხალხისადმი, მოსკოველები მხურვალე ტაშით მიესალმნენ საპატიო სტუმარს.

მიკროფონთან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა.

სირიის პრეზიდენტმა შუქრი კუატლიმ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა.

(საკდესი).

## სირიის პრეზიდენტმა შუქრი კუატლიმ ვიზიტი გაუკეთა კ. ე. ვოროშილოვს

მოსკოვში ჩამოსულმა სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შუქრი კუატლიმ 1 ნოემბერს დილით კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

პრეზიდენტთან ერთად იყვნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი რაშად ჯაბრი, საგარეო საქმეთა მინისტრი სალაჰ-ედ-დინ ბითარი, თავდაცვის მინისტრი აბდულ ჰასიბ რასლანი, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ფუად ჰალაბი და სხვა სირიელი სტუმრები.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის ელჩი სირიაში ს. ს. ნემჩინა. (საკდესი).

## ნ. ა. ბულგანინმა მიიღო სირიის პრეზიდენტი შუქრი კუატლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 1 ნოემბერს მიიღო სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტი შუქრი კუატლი.

სირიის პრეზიდენტს ახლდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი რაშად ჯაბრი, საგარეო საქმეთა მინისტრი სალაჰ-ედ-დინ ბითარი, თავდაცვის მინისტრი აბდულ ჰასიბ რასლანი, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ფუად ჰალაბი და პრეზიდენტთან ერთად ჩამოსული სხვა პირები.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი და სსრ კავშირის ელჩი სირიაში ს. ს. ნემჩინა. (საკდესი).

დეპეშა

### მის აღმატებულებას მარშალ ვოროშილოვს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

თეირანი, 16.00, 30. X.

მეტად მასიამოვნა თქვენი აღმატებულების გულითადმა წერილმა ჩემი დაბადების დღესთან დაკავშირებით და ჩემი მხრივ გულწრფელად გისურვებთ პირად ბედნიერებას თქვენ და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა ხალხს.

მოჰამედ რეზა ფეჰლევი

დეპეშა

### ბატონს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მარშალ კლიმენტ ვოროშილოვს

მოსკოვი

ავსტრიის ალმის დღის გამო მეგობრულ მოლოცვასთან დაკავშირებით გთხოვთ ჩემი სახელით და ავსტრიელი ხალხის სახელით მიიღოთ უაღრესად გულწრფელი მადლობა, ამასთან ყოველ სიკეთეს და კეთილდღეობას გისურვებთ პირადად თქვენ და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირის ხალხებს.

თეოდორ კიორნერი
ფედერალური პრეზიდენტი

ვენა, 31. X, 56 წ. 9 საათი და 55 წუთი.

დეპეშა

### მის აღმატებულებას ნ. ბულგანინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი, კრემლი

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ თურქეთის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით თქვენი წერილის გამო, რომელიც შეიცავს გულითად მოლოცვასა და კეთილ სურვილებს და რომელიც თქვენ კეთილინებეთ გამოგეგზავნათ ჩემთვის რესპუბლიკის დღესასწაულთან დაკავშირებით.

მე გამახარა თქვენმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება თქვენი მთავრობის ურყევი სურვილია.

საქმე ის არის, რომ თურქეთის მთავრობა, ხელმძღვანელობს რა როგორც მშვიდობისა და კეთილი თანაარსებობის იდეალებით, რომლების ერთგულიც მუდამ იყო, ისევე თავისი ქვეყნის ინტერესებით, აგრეთვე ყოველთვის გამოთქვამდა ასეთ სურვილს.

გარწმუნებთ, რომ ჩემი მთავრობა, რომელსაც თავის მოვალეობად მიაჩნია გააკეთოს ყველაფერი, რაც მასზეა დამოკიდებული, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისათვის მთელ მსოფლიოში, ხელიდან არ გაუშვებს არც ერთ შესაძლებლობას, აგრეთვე ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებას, ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევისათვის.

ამასთან დაკავშირებით გამოვთქვამ თქვენი ქვეყნის აყვავებისა და კეთილდღეობის ყველაზე კეთილ სურვილებს.

ადნან მენდერესი
თურქეთის პრემიერ-მინისტრი

ანკარა, ენი-შეჰირი, 1956 წლის 30 ოქტომბერი.

## დეპეშების გაცვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვსა და ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს შორის

1956 წლის 15 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა მისი დაბადების დღის გამო.

1956 წლის 30 ოქტომბერს ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰისაგან მიღებულია საპასუხო დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სახელზე.

ქვემოთ ვბეჭდავთ დეპეშების ტექსტებს.

### მის უდიდებულესობას მუჰამედ ზაჰირ შაჰს

ავღანეთის მეფეს

ქაბული

თქვენი დაბადების დღის გამო გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა, გისურვებთ ჯანმრთელობას, აგრეთვე კეთილდღეობასა და აყვავებას ვუსურვებ ავღანელ ხალხს.

გულწრფელად მსურს, რომ კვლავაც ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის ჩვენი ქვეყნების ხალხთა და საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ.

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ავღანეთის მეფის დეპეშა

### მის აღმატებულებას კ. ე. ვოროშილოვს

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

მადლობას ვუძღვნი თქვენს აღმატებულებას თქვენი თავაზიანი მოლოცვისათვის, გულწრფელად გისურვებთ პირად ბედნიერებას თქვენ და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირს.

მუჰამედ ზაჰირი

ქ. ქაბული, 1956 წ. 30 ოქტომბერი.

## იტალიის ქიმიური მრეწველობის მშრომელთა ფედერაციის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში სამ დღეს იყო სტუმრად იტალიის ქიმიური მრეწველობის მშრომელთა ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იტალიის ქიმიკოსთა პროფკავშირის ეკონომიური განყოფილების გამგე და ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი ლუჩანო კონშიანი.

დელეგაციის წევრები გაეცნენ ქალაქ თბილისს, იმგზავრეს რუსთავში, სადაც დაათვალიერეს აზოტოვანი სასუქის ქარხანა. საწარმოს დირექტორმა ამხ. ჩიტაშვილმა სტუმრებს დაწვრილებით უამბო ქარხნის მუშაობაზე, ხელფასის სისტემაზე, მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე. ქარხნის მუშებმა სტუმრებს სთხოვეს გადასცენ ძმური სალამი იტალიის ქიმიური მრეწველობის მუშებს.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია დაესწრო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს საქართველოს სსრ სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით და სოფოკლეს „მეფე ოიდიპოსის“ სპექტაკლს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

31 ოქტომბერს დელეგაცია გაემგზავრა გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში სადაც დაწვრილებით გაეცნო მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას.

იმავე დღის საღამოს დელეგაცია სოჭში გაემგზავრა. (საქდესი).

# ოქტომბერი გადამწყვეტი მობრუნებაა ხალხთა ისტორიულ ბედში

39 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით ეს დიდი ვადა არ არის. მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა სხვა ისეთი პერიოდი, როცა ასეულ მილიონობით ადამიანთა ისტორიულ ბედში მომხდარიყო ისეთი ცვლილებები, როგორიც მოხდა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ განვლილ წლებში. ეს დიადი ცვლილებები დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა ოქტომბრის პირმშოს — საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის, მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის არსებობასა და გარდამქმნელ საქმიანობასთან.

ჩვენ მიერ განვლილი გზა ადვილი როდი იყო. ბევრი სიძნელე და გაჭირვება გამოვიარეთ. მაგრამ ახლა საეჭვოა აღმოჩნდეს ადამიანი, რომელმაც არ აღიაროს, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია ძირეული ცვლილებები ჩვენს ქვეყანაში და ამავე დროს იგი მთელი კაცობრიობის ისტორიული ბედის გადამწყვეტი მობრუნების პუნქტი იყო. ახლა ეს ესმის სულ უფრო და უფრო მეტ პოლიტიკურ მოღვაწეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. როგორც წერს ჯავაჰარლალ ნერუ თავის წიგნში „ინდოეთის აღმოჩენა", „საბჭოთა რევოლუციამ დიდად წასწია წინ ადამიანთა საზოგადოება და დაანთო კაშკაშა ალი, რომლის ჩაქრობა შეუძლებელია. მან საძირკველი ჩაუყარა იმ ახალ ცივილიზაციას, რომლისკენაც შეუძლია წინსვლა მსოფლიოს".

1917 წლამდე კაპიტალიზმი ერთადერთი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა იყო, რომელიც ბატონობდა მსოფლიოში, განაგებდა ხალხთა ბედს ერთი მუჭა მილიარდერთა და მილიონერთა ანგარებითი ინტერესების შესაბამისად. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განიცდიდა ჩაგვრასა და ექსპლოატაციას იმპერიალისტური მონოპოლიების მხრივ და ვერ ხედავდა გამოსავალს თავისი უუფლებო მდგომარეობიდან. კიდევ უფრო მწარე იყო ასეულ მილიონობით ადამიანთა ხვედრი კოლონიურ, დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ ქვეყნებში. ადამიანთა ეს გიგანტური მასა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა, ერთი მუჭა ხარბი იმპერიალისტი კოლონიზატორების მიერ ცხოვრების „ფსკერზე" იყო მოქცეული, მოკლებული იყო ადამიანის ელემენტარულ უფლებებს.

ლენინის და მის მიერ გამოზრდილი კომუნისტური პარტიის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მათ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით მშრომელებს უჩვენეს გამოსავალი ამ უუფლებო მდგომარეობიდან. რუსეთის კომუნისტებმა, ლენინის წინამძღოლობით, მსოფლიოს ყველა მუშასა და გლეხს აჩვენეს, თუ როგორ უნდა იქნას მოსპობილი მშრომელთათვის საძულველი წყობილება დაქირავებული მონობისა და შეიქმნას ახალი საზოგადოება, რომელიც ყველა მის წევრს ათავისუფლებს ჩაგვრისა და უუფლებობისაგან.

ოქტომბრის განმათავისუფლებელმა ქარიშხალმა მთელი მსოფლიო აამოძრავა. რუსი მუშებისა და გლეხების მაგალითმა საუკუნეობრივი ძილისაგან გამოაღვიძა დატანჯული და ჩაგრული ხალხები, შთაბერა მათ თავიანთი ძალების რწმენა, ჩაუნერგა მზადყოფნა თავიანთი ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

რუსეთის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა მსოფლიოს ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების დიდ ისტორიულ პროცესს. დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა, როცა თავისუფლებაზე, დამოუკიდებელ ისტორიულ შემოქმედებაზე გადადიან შრომის ასეულ მილიონობით ადამიანები, ისინი, ვისაც კაპიტალიზმი საუკუნეობით თელავდა, ახრჩობდა, აბუჩად იგდებდა როგორც „დაბალ კასტას".

ლენინის ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო კაცობრიობის პროგრესული განვითარების ჩაუქრობელი შუქურა, ურყევი ბურჯი გახდა.

* * *

ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა გვიჩვენებს სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, მოწმობს, რომ სწორედ სოციალიზმს ძალუძს გადაწყვიტოს ყველაზე რთული საკითხები, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ მშრომელებისათვის.

სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობანი მკაფიოდ ვლინდებიან უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის სწრაფი განვითარებით. ცნობილია, რომ ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დასავლეთის სხვა ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მრავალი ათეული წლები დასჭირდათ იმისათვის, რომ მოწინავე სამრეწველო სახელმწიფოები გამხდარიყვნენ. ამასთან მათი ინდუსტრიალიზაცია ხორციელდებოდა არა მარტო ამ ქვეყნების მშრომელების, არამედ აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნების მილიონობით ადამიანთა ოფლითა და სისხლით, რომლებსაც სწოვდნენ მთელ სასიცოცხლო ძალებს „ცივილიზებული დასავლეთის აყვავებისათვის".

პრინციპულად სხვა საფუძველზე წარმოებდა ჩვენი ქვეყნის გადაქცევა მსოფლიოს მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ამ ამოცანას საბჭოთა ხალხი წყვეტდა მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი რესურსების გამოყენებით, არა მარტო უცხოეთის კაპიტალის მოუზიდავად, არამედ გარეშე იმპერიალისტური ძალების გაცოფებული წინააღმდეგობის მიუხედავადაც. და ეს ამოცანა ჩვენმა ხალხმა გადაწყვიტა წარმატებით, უმოკლეს ისტორიულ ვადებში. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომმა და განსაკუთრებით ჰიტლერელ დამპყრობთა შემოსევამ ჩვენს ქვეყანაში აურაცხელი ზარალი მიაყენა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას, სოციალისტური ეკონომიკა წინ მიდის ისეთი ტემპით, რომელიც 5-7-ჯერ და კიდევ უფრო აღემატება დასავლეთის წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპებს.

სკკპ XX ყრილობამ პრაქტიკულად დასახა გადაწყვეტა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანისა — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. საბჭოთა კავშირს რომ რეალური შესაძლებლობები აქვს გადაწყვიტოს ეს ამოცანა ისტორიულად უმოკლეს ვადებში, ამას ახლა უკვე აშკარად აღიარებენ დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეები და პრესის ორგანოები. მაგალითად, ამერიკელი მიმომხილველები სტიუარტ და ჯოზეფ ოლსოპები ჟურნალ „სატერდეი ივნინგ პოსტში" შეშფოთებით აღნიშნავენ სსრ კავშირის ძლიერების „ფენომენალურად სწრაფ ზრდას".

გავლენიანი ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" თავის მხრივ შეშფოთებით აყენებს კითხვებს: „საით მიდის დასავლეთი?" და გაუძლებს თუ ვერა იგი ორი სისტემის ბრძოლას, რომელიც ეკონომიურ ასპარეზზე გაჩაღდა? სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმატებანი, „ტაიმსის" სიტყვით, დასავლეთის წინაშე ახალ რთულ პრობლემებს აყენებენ.

უკანასკნელ ათეულ წელიწადში მსოფლიოს მშრომელებმა სოციალიზმის დაუძლეველი ძალის კიდევ ერთი დამაჯერებელი მაგალითი მიიღეს. სოციალისტურმა რევოლუციამ მოკლე ვადებში გადამწყვეტ გამარჯვებებს მიაღწია ისეთ უზარმაზარ ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია. კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ჩინელმა ხალხმა ბოლო მოუღო კლასობრივი ექსპლოატაციის სისტემას, შექმნა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება.

სოციალიზმისა და დემოკრატიის საფუძველზე სამყაროს გარდაქმნის საქმე, რაც ჩვენმა ხალხმა 39 წლის წინათ დაიწყო, ახლა უდიდესი მასების მშობლიური, სისხლხორცეული საქმე გახდა. სოციალიზმი საერთაშორისო ძალად იქცა, რომელსაც ბადალი არ მოეპოვებოდა და არ მოეპოვება. სოციალისტური სისტემის დამყარების პროცესი ისტორიაში უმაგალითო ტემპებით მიმდინარეობს.

* * *

ხალხთა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის წარმოშობამ და განმტკიცებამ შექმნა საერთაშორისო განვითარების სრულიად ახალი პირობები. იმპერიალიზმის აგრესიულმა ძალებმა სამუდამოდ დაკარგეს მსოფლიოში უკონტროლოდ პარპაშის შესაძლებლობანი. საბჭოთა კავშირის, ახალი ჩინეთის და სოციალიზმის ბანაკის ყველა ქვეყნის სახით ხალხებმა, რომლებიც გამოდიან იმპერიალისტური ხროვების თვითნებობის წინააღმდეგ, მშვიდობის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის, უაღრესად საიმედო დასაყრდენი მიიღეს. სოციალიზმის მძლავრი მსოფლიო სისტემის არსებობა სულ უფრო ღრმა გავლენას ახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე, ცვლის მას მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების სასარგებლოდ, მშრომელთა ინტერესებისათვის.

იმის მაგალითს, თუ რამდენად შეიცვალა ჩვენს დროს ხალხის მასების განმათავისუფლებელი ბრძოლის პირობები, წარმოადგენს აზიის ხალხთა თანამედროვე მდგომარეობა.

ვ. ი. ლენინი, რომელსაც ღრმად სწამდა აღმოსავლეთის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის დაუშრეტელი ძალები, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მტკიცედ წინასწარმეტყველებდა, რომ უახლოეს მომავალში ჩვენს შემდეგ ისტორიულ ავანსცენაზე გამოვიდოდნენ აზიის ხალხები. — ხვალინდელი დღე მსოფლიო ისტორიაში, — შთაგონებულად წერდა ვლადიმერ ილიას-ძე 1922 წელს, — სწორედ ისეთი დღე იქნება, როცა საბოლოოდ გაიღვიძებენ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები და როცა დაიწყება გადამწყვეტი ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის.

რევოლუციის დიდი სტრატეგის წინასწარხედვა სავსებით დადასტურდა. უკვე 1 მილიარდ 200 მილიონზე მეტმა ადამიანმა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მოიშორა საძულველი უღელი უცხოელთა ბატონობისა. დამოუკიდებელი ისტორიული განვითარების გზაზე გამოვიდა დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ეს ოქტომბრის რევოლუციის განმათავისუფლებელი იდეების დიდი მამობილიზებელი და გარდამქმნელი როლის ახალი უაღრესად მკაფიო დადასტურებაა. სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ ჩასცა იმპერიალიზმს უძლიერესი ლახვარი არა მარტო მისი ბატონობის ცენტრებში, არამედ კოლონიურ ზურგშიც, სამუდამოდ გამოუთხარა ძირი მის ძალასა და ბატონობას დედამიწის ამ ვრცელ რაიონებში. იმპერიალისტური ბატონობის ფრონტი აღმოსავლეთში ყველა მიმართულებით ირღვევა, მისი შეკეთების ცდები კი სულ უფრო აშკარა მარცხით მთავრდება.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, როგორც ეს ვ. ი. ლენინმა იწინასწარმეტყველა, ახალი ფურცელი გადაშალა ხალხებისათვის საარსებო ისეთ საკითხშიც, როგორიც არის ომის საფრთხის თავიდან აცილება. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელშიც არ არის დამპყრობლური ომების მოწყობით დაინტერესებული კლასები და ჯგუფები და რომელმაც თავის დროშებზე აღბეჭდა მშვიდობისა და თავისუფლების სიტყვები, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბუნებრივი და ყველაზე საიმედო დასაყრდენი გახდა. რაც უფრო მტკიცდებოდა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, მით უფრო დაუძლეველ დაბრკოლებად დგებოდა იგი ომების იმპერიალისტ წამომწყებთა გზაზე. სწორედ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს უნდა უმადლოდნენ ხალხები თავიანთ ხსნას ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ დამონების საშინელი საფრთხისაგან.

მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც განუწყვეტლივ ახორციელებს საბჭოთა კავშირი და რომლის ქვაკუთხედია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის დიადი ლენინური პრინციპი, მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის პოლიტიკა ხდება. ეს თვალნათლივ დაადასტურა, კერძოდ, იმან, რომ აზიისა და აფრიკის ათობით ქვეყანამ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ცნობილ ბანდუნგის კონფერენციაში, აქტიურად დაუჭირა მხარი მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილ ხუთ პრინციპს.

ოქტომბრის რევოლუცია მოხდა ყველაზე მოწინავე იდეოლოგიის — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის დროშით. მან გამოაცხადა და თანმიმდევრულად ახორციელებს პრინციპებს, რომლებიც შეესაბამება მუშათა კლასის ძირეულ ინტერესებს. ათეულწლების განმავლობაში იბრძოდნენ მოწინავე მუშები მუშათა კლასის რიგების ერთიანობისათვის, რომელსაც განუწყვეტლივ უთხრიან ძირს ბურჟუაზია და მისი აგენტურა. ოქტომბრის რევოლუცია მობრუნების პუნქტი იყო ამ მხრივაც. ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლმა ძალებმა მძლავრი დასაყრდენი შეიძინეს მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სახით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მსოფლიოში კიდევ უფრო მაღლა აღმართა მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის კეთილშობილური დროშა. მიუხედავად ზოგიერთი მემარჯვენე სოციალისტი ლიდერის თავგამოდებული წინააღმდეგობისა, რომლებიც წარსულისაკენ იცქირებიან, ჩვენი პარტიის მხურვალე მოწოდება — განვავითაროთ სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის, მუშათა მოძრაობის ყველა რაზმს შორის კონტაქტები და თანამშრომლობის სხვა ფორმები — სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების რიგითი წევრების მზარდ გაგებასა და მხარდაჭერას პოულობს.

მუშათა კლასს საკუთარი გამოცდილებით შეეძლო თვალნათლივ დარწმუნებულიყო, რომ მის რიგებში გათიშვა მხოლოდ ომის მომხრეებისათვის არის ხელსაყრელი. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ, თუ მრავალმილიონიანი მუშათა კლასი დარაზმავს თავის რიგებს, გამოიჩენს ერთიან ნებას, — ომი არ მოხდება. კომუნისტები, მემარცხენე სოციალისტები, მუშათა მოძრაობის ერთიანობის ყველა მომხრენი, ამ კეთილშობილური იდეით აღფრთოვანებულნი, ამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მშვიდობისა და პროგრესის საერთაშორისო ფრონტის განმტკიცებისაკენ.

* * *

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გასული 39 წელი გარდატეხის პერიოდი იყო საერთაშორისო ურთიერთობაში, მსოფლიოს ყველა ხალხის ისტორიულ ბედიღბალში. პროგრესული კაცობრიობა გადაჭრით უარყოფს „ცივი" ომის, კოლონიალიზმისა და უუფლებობის პოლიტიკას, რომელიც შეუთავსებელია მის ღირსებასა და სინდისთან. სულ ახალი და ახალი ხალხები ადგებიან სოციალიზმის, მშვიდობისა და თავისუფლების გზას. ოქტომბრის დიადი იდეები — ლენინიზმის უკვდავი იდეები — წლითიწლობით სულ უფრო ცხოველმყოფელ გავლენას ახდენენ მსოფლიო განვითარებაზე.

ოქტომბრის ძლევამოსილი იდეები სწორ, საიმედო გზას უჩვენებენ ყველა ხალხს. ისინი მთელი მსოფლიოს მშრომელებს მიიყვანენ მათი სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვებამდე.

**ვ. კორიონოვი.**

## ოქტომბრის 39-ე წლისთავის შესახვედრად



თბილისის ბამბის ქარხნის ხარატი კომკავშირელი ალბერტ მოსესიანი, რომელიც ჩაბმულია საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ ნორმას სამ-ოთხმაგად ასრულებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## ნავთლუღელ რკინიგზელთა წარმატებები

ნავთლუღის რკინიგზის კვანძის მშრომელები ახალი შრომითი აღმავლობით ეგებებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს.

ჩაბმული არიან რა სოციალისტურ შეჯიბრებაში სამტრედიის კვანძის მუშებთან, ნავთლუღელი რკინიგზელები წარმატებით ასრულებენ სადღესასწაულოდ ნაკისრ ვალდებულებებს. ვაგონების დატვირთვის 10 თვის გეგმა 109 პროცენტით შეასრულეს, მკვეთრად შეამცირეს სატრანზიტო ვაგონებისა და ადგილობრივი ვაგონების მოცდენა. ნავთლუღელი რკინიგზელების მიერ შედგენილი მძიმე წონის მატარებლებით ნორმის ზევით გადაზიდულია 176 ათასი ტონა ტვირთი.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ვაგონების გადამბმელებმა ა. ჩაგრაგანიძემ და პ. ბიბილეიშვილმა, მატარებლების შემადგენლებმა ა. პრიხოჩენკომ და ი. ომელჩენკომ, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს 180-190 პროცენტით ასრულებენ.

შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის ნავთლუღის რკინიგზელებს მიეკუთვნათ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა.

## მეტი ნედლეული ფეხსაცმლის ფაბრიკებს

მაღალხარისხოვანი ტყავის ფეხსაცმლის გამოსაშვებად ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკებს, ბუნებრივია, სჭირდებათ მეტი და საუკეთესო ხარისხის როგორც საზედაპირე, ისე საძირე ტყავი. რესპუბლიკაში ტყავის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა თბილისის ტყავის პირველი ქარხანა, რომელიც უშვებს საძირე ტყავს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოუწესრიგებლობისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო ამ ქარხნის კოლექტივი ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკთა წინაშე ვალში აღმოჩნდა. მაგრამ ქარხნის კოლექტივს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გამოასწოროს ჩამორჩენა, დაფაროს წინა თვეების დავალიანება და მიაღწიოს რიტმულობას. ამას მოწმობს ისიც, რომ ქარხანაში მრავლად არის მოწინავე ადამიანები, წარმოების ნოვატორები, რომლებიც დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, ტყავსატკეცი მანქანის მემანქანე გ. ამირბეგოვი საწარმოო დავალებებს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს. სექტემბერში მან დავალება 122 პროცენტით შეასრულა, ხოლო ოქტომბერში — 125 პროცენტით.

დიდი წარმატებით მუშაობენ ტყავის გამომყვანები ტ. ლუნინი, პ. უხანოვი, შ. მერაბოვი, ნ. ჩივილდეევი და წარმოების მრავალი სხვა მოწინავე ადამიანი.

## 20 დღით ადრე

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისში აქვს ქიმიურ საწარმოთა კომბინატი, რომლის კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის მზადებაში შესანიშნავ წარმატებებს აღწევს.

კომბინატის კოლექტივმა 10 თვის საწარმოო დავალება 20 დღით ადრე — 11 ოქტომბრისათვის გაანაღდა, ხოლო 30 ოქტომბრისათვის ათი თვის გეგმის გადამეტებით საგრძნობი რაოდენობით გამოუშვა სახამებელი, სხვადასხვა საღებავები, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა პროდუქცია.

კომბინატში ყველაზე უკეთეს საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ქიმიურმა საამქრომ, რომელმაც 10 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. ამ საამქროში მოწინავეა ი. მელიცკაურის ბრიგადა. საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ საამქროს მოწინავე ადამიანებს პ. შევჩენკოს და გ. ჯავახიშვილს, რომლებიც საწარმოო დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ.

### პარტიული ცხოვრება

## პარტიული ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნების წინ

— რას მოახსენებს საანგარიშო კრებას და რას იტყვიან კომუნისტები იმის შესახებ, თუ რა ზომებს იღებდა პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში ჩამორჩენის დასაძლევად?

აი კითხვები, რომლებზეც ახლა, ანგარიშგება-არჩევნების წინ ხშირად ფიქრობს სოფელ ბნავისის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. კარელიძე.

იმ დღესაც, კოლმეურნეობის კანტორაში მარტოდ დარჩენილი მდივანი, პარტიული კრების ოქმების ჟურნალს რომ ფურცლავდა, ამაზე ფიქრობდა...

...მდივანს თვალწინ წარმოუდგა „ერეთას" მიწები. 14,44 ჰექტარი ვენახის დიდ ნაწილს წელს ადამიანის ხელი არ მიჰკარებია. ამიტომ ამ ვენახმა კოლმეურნეობას ისე მცირე მოსავალი მისცა, რომ სათქმელადაც სირცხვილია. მოაგონდა, იქვე გაუთოხნელობის გამო როგორ წახდა 36 ჰექტარი სიმინდი.

აქ შ. კარელიძემ ერთი ამოიოხრა, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არა, ეს აშკარა დანაშაულია!.. ამაზე აუცილებლად იქნება მსჯელობა საანგარიშო კრებაზე. მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას მეტი რა შეეძლო გაეკეთებინა — ამ საკითხებზე ხომ ხშირად ვმსჯელობდით!

გორის რაიონში ბნავისის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ჩამორჩენილია. სასოფლო-სამეურნეო არტელის მოწინავედ გადაქცევისათვის სუსტად მუშაობენ კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია. ისინი ყურს არ უგდებენ რიგითი ადამიანების ხმას, არ ითვალისწინებენ მათს კრიტიკულ შენიშვნებს მუშაობაში.

დაბალ დონეზე ეწყობა პარტიული კრებები, ზოგჯერ გამოაქვთ ზოგადი, არაფრისმთქმელი დადგენილებები. ამიტომ პარტიულ კრებებზე საკითხების განხილვას ყოველთვის როდი მოსდევს სასურველი შედეგი.

მივმართოთ ფაქტებს. მიმდინარე წლის 28 ივნისს პარტიულ კრებაზე იმსჯელეს სათოხნი კულტურების დამუშავების მიმდინარეობაზე. აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი. კრებამ განხილული საკითხის გამო მიიღო ასეთი დადგენილება: „დაევალოს პარტორგანიზაციას და გამგეობას მიიღოს საჭირო ზომები იმ პირების მიმართ, ვისაც ბრალი მიუძღვის ნაკვეთების დამუშავებაში".

27 აგვისტოს პარტიულ კრებაზე განიხილეს საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. კოლმეურნეობაში ამ დროისათვის დაწყებული არ იყო თესლის გაწმენდა, ნელი ტემპით წარმოებდა ხვნა. მაგრამ იმის გამო, რომ კრება მოუმზადებელი იყო, არ მომხდარა საკითხის გულდასმით განხილვა, ბოლომდე არ უმხილებიათ ნაკლოვანებანი.

გასაკვირველი როდია, რომ პარტიულ კრებაზე საკითხის ამგვარ განხილვას საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადების დაჩქარება არ მოჰყოლია.

ბნავისის კოლმეურნეობაში ხშირად არის პარტიის გორის რაიკომის ინსტრუქტორი გორის მტს-ის ზონაში მ. კურტანიძე, მაგრამ რა ფასი აქვს ყოფნას, თუ მის მისვლას სასურველი შედეგი არ მოსდევს.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ს. გოლოშვილი ოცდაათათასელია. ამ თანამდებობაზე 1955 წლის ივლისიდან მუშაობს. ბნავისელი კოლმეურნეები, როცა თავმჯდომარედ ირჩევდნენ, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. და აი ერთ წელზე მეტი უკვე გავიდა, მაგრამ კოლმეურნეობა კვლავ ჩამორჩენილია. არასახარბიელო მდგომარეობაა მეცხოველეობაშიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ახლო მომავალში გაიმართება, კომუნისტები პირუთვნელად, საქმიანად გააკრიტიკებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და დაუცხრომლად იმუშავებენ ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## გავაძლიეროთ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება

ხაშურის სალოკომოტივო დეპოში მოწინავეთა შორის ბევრი კომკავშირელია. ისინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მინდობილ საქმეს, და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. წელს ელმავლის მემანქანეებმა — კომკავშირელებმა ლ. მანჯავიძემ და ი. ლაბაძემ თვითეულმა 147 მძიმე წონის მატარებელი გაატარეს და ნორმის ზევით ათობით ტონა ტვირთი გადაზიდეს. შრომაში მათ არ ჩამორჩებიან საკავშირო ალკკ წევრები ვ. კიკნაძე, კ. სუხიაშვილი, გ. მათიკაშვილი და სხვები, რომლებიც არა მარტო წარმოებაში იჩენენ აქტივობას, არამედ კომკავშირულ ცხოვრებაშიც საქმიანად მონაწილეობენ.

კომკავშირელთა წარმატება, უწინარეს ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ აქ ახალგაზრდობის პოლიტიკური და იდეური აღზრდისათვის მუშაობა კომკავშირული ორგანიზაციის ღვიძლ საქმეს წარმოადგენს. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი დაქვემდებარებულია კომკავშირელთა იდეური გამოწრთობის საკითხებისადმი. ახალგაზრდობის საქმიანობისადმი, მათი შრომისა და აღზრდისადმი შეუნელებელ ყურადღებას იჩენს სალოკომოტივო დეპოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტები ხშირად ესწრებიან კომკავშირულ კრებებს, ეხმარებიან ახალგაზრდებს აქტუალური საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში, სწორი დადგენილების მიღებასა და მის პრაქტიკულად განხორციელებაში. საკავშირო ალკკ წევრებისა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობისათვის ხშირად ეწყობა ლექცია-მოხსენებები.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადაც ჯეროვნად არის დაყენებული კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება, იქ კომკავშირული მუშაობაც ქმედითი, საინტერესო და სიცოცხლისუნარიანია, ხოლო სადაც ეს საქმე თვითდინებაზეა მინდობილი, მდგომარეობა არასახარბიელოა. ეს პირდაპირ შეეხება კავშირგაბმულობის ხაშურის დისტანციის კომკავშირულ ორგანიზაციას, სადაც 16 კომკავშირელი ითვლება. ეს დიდი ძალაა, რომლის სწორად წარმართვით ბევრის გაკეთება შეიძლება. აქ კი საქმე ასე როდია. საკავშირო ალკკ წევრები მაგალითს არ უჩვენებენ შრომაში, არღვევენ დისციპლინას. კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი ნ. მინაძე) მუშაობაში ფეხმოკიდებულია ფორმალიზმი. არ იგრძნობა კომკავშირული გატაცება და დაუშრეტელი ენერგია, ნაკლებია ახალგაზრდობის შემოქმედებითი ინიციატივა.

ყველა კომკავშირული კრების დღის წესრიგი თითქმის ერთმანეთს ჰგავს. მაგალითად, ყოველ კრებაზე განიხილავენ საკითხს საწარმოო გეგმების შესრულებაში კომკავშირელთა როლის შესახებ. ეს საკითხი აქ ამას წინათაც განიხილეს, მაგრამ კრების შემდეგ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ხშირად კრებებზე უსაგნო და არაფრისმთქმელ დადგენილებებს იღებენ. წესად იქცა, მაგალითად, ერთმუხლიანი დადგენილების მიღება: „დაევალოს კომკავშირის კომიტეტს ყოველი თვის ბოლოს შეაჯამოს მუშაობის შედეგები საამქროებში, სადაც კომკავშირელები მუშაობენ, და აღმოუჩინოს ქმედითი დახმარება". ასეთი დადგენილების მიღება ხელს არ უწყობს კომკავშირელთა პასუხისმგებლობის ზრდას, რადგან კრებას მათთვის არც რაიმე უსწავლებია, არც მოუთხოვნია და არც დაუვალებია. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს კომკავშირელთა სამეურნეო საქმიანობაზეც. ხშირია სამუშაო დღის გაცდენის, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში ნაკლოვანებანი გაცილებით ცოტა იქნებოდა, მას საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას რომ უწევდეს კავშირგაბმულობის ხაშურის დისტანციის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტები ახალგაზრდობის წინაშე იშვიათად გამოდიან საინტერესო ლექცია-მოხსენებებით, არ ეხმარებიან კომკავშირელებს პრაქტიკული მუშაობის ჩვევების შეძენაში, ღრმად არ განუმარტავენ მათ იმ ამოცანებს, რომლებიც სოციალისტური ტრანსპორტის წინაშე არის დასახული.

**ვ. ლაცაბიძე.**

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „დავაჩქაროთ სასილოსე კოშკების მშენებლობა"

პირუტყვის სადგომებისა და სასილოსე კოშკების მშენებლობის მხრივ ოჩამჩირის რაიონში ჯერ კიდევ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებია, წერდა „კომუნისტის" 20 სექტემბრის ნომერში ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი.

ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომმა „კომუნისტის" კრიტიკა სამართლიანად ცნო. რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა დასახეს ღონისძიებანი წერილში მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

1956 წლის 14 აგვისტოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩომ მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა პასუხი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამა წლის 29 მაისის ნოტაზე საბჭოთა კავშირიდან გერმანელ მოქალაქეთა რეპატრიაციის შესახებ (გამოქვეყნებულია ჩვენს გაზეთში ამა წლის 31 მაისს).

იმოწმებს რა საბჭოთა კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობების დელეგაციებს შორის გასული წლის სექტემბრის მოლაპარაკებას, საელჩო გამოთქვამს აზრს, რომ რეპატრიირებულ უნდა იქნას გერმანიის სიების საფუძველზე გამოვლინებული ყველა პირი, რომლებსაც სურთ გაემგზავრონ გერმანიაში და რომლებიც გერმანელი მოქალაქენი არიან გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან საელჩო ამტკიცებს, რომ გერმანიის მოქალაქეობის შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ გერმანიის მოქალაქეობის კანონთა საფუძველზე, რამდენადაც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით ყოველი სახელმწიფო თავისი კანონებით განსაზღვრავს დებულებებს თავისი მოქალაქეობის შეძენის ან დაკარგვის შესახებ.

ფედერალური მთავრობა, ნათქვამია შემდეგ საელჩოს ნოტაში, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გულმოდგინედ ამოწმებს, არის თუ არა საფუძველი ვილაპარაკოთ ამა თუ იმ პირის გერმანულ მოქალაქეობაზე, ხოლო სსრ კავშირში მყოფ პირებს, რომლებიც აცხადებენ პრეტენზიას გერმანიის მოქალაქეობაზე, ამოწმებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო მოსკოვში. ამასთან დაკავშირებით ნოტაში აღნიშნულია, რომ საელჩოს უფლება აქვს დაამყაროს კავშირი იმ პირებთან, რომლებიც მიმართავენ საელჩოს, დააყენოს მათ წინაშე მათი გერმანული მოქალაქეობის გამორკვევასთან დაკავშირებული საკითხები და გაავრცელოს შესაბამისი ანკეტები.

დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო თანახმაა, რომ ცალკეულ შემთხვევებში იმ პირთა მოძებნა, რომლებიც საელჩოს აინტერესებს, შეიძლება დაკავშირებული იყოს სიძნელეებთან, და გამოთქმულია იმედი, რომ ნოტების ამ გაცვლის შედეგად დაჩქარდება გერმანელ მოქალაქეთა რეპატრიაცია.

ამა წლის 30 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის საპასუხო ნოტა გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებს თავის პატივისცემას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოსადმი და იმოწმებს რა საელჩოს ამა წლის 14 აგვისტოს № 514-00/904 ნოტას, პატივი აქვს აცნობოს შემდეგი:

იმასთან დაკავშირებით, რომ საელჩოს ნოტა ეხება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ პირთა მოქალაქეობის გამორკვევის საკითხს, რომლებთანაც საელჩო მოლაპარაკებას აწარმოებს სსრ კავშირიდან დასავლეთ გერმანიაში მათი წასვლის შესახებ და რომლებსაც იგი თავისი ანკეტებით ამარაგებს, სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია კვლავ მიაპყროს საელჩოს ყურადღება იმას, რომ საელჩოს ასეთი საქმიანობა არ უნდა გავრცელდეს საბჭოთა მოქალაქეებზე. თუ საელჩოს აღეძრება რაიმე გაურკვევლობა ამა თუ იმ პირის საბჭოთა მოქალაქეობისადმი, მას შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ამასთან, რა თქმა უნდა, ასეთ პირთა მოქალაქეობის საკითხს საბჭოთა ორგანოები გადაწყვეტენ საბჭოთა კანონების საფუძველზე. საბჭოთა მოქალაქეების საზღვარგარეთ წასვლასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, ისევე როგორც საბჭოთა მოქალაქეობიდან გასვლის საკითხებს, როგორც უკვე აღნიშნული იყო სამინისტროს ამა წლის 29 მაისის ნოტაში, სსრ კავშირში არსებული კანონმდებლობის მიხედვით წყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი საბჭოთა ორგანოები თვითონ დაინტერესებულ მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე. რამდენადაც საბჭოთა კანონები არ ითვალისწინებენ ორმაგ მოქალაქეობას, სხვა ქვეყნის მოქალაქედ იმ პირის გამოცხადება, რომელსაც უკვე აქვს საბჭოთა მოქალაქეობა, არ შეესაბამება საბჭოთა კავშირის კანონმდებლობას.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის 1955 წლის სექტემბრის მოსკოვის მოლაპარაკების დამოწმება, რასაც საელჩოს ნოტა შეიცავს, მოკლებულია საფუძველს, რამდენადაც ეს მოლაპარაკება არ შეხებია და ვერც შეეხებოდა იმ პირებს, რომლებსაც საბჭოთა მოქალაქეობა აქვთ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო სრული გაგებით ეკიდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს უფლებებს იმ გერმანელი მოქალაქეების მიმართ საკონსულო ფუნქციების განხორციელების დარგში, რომლებსაც სურთ გააფორმონ თავიანთი გამგზავრება დასავლეთ გერმანიაში, და საჭირო დახმარებას უწევს მათ. ამასთან ერთად სამინისტრო საჭირო დახმარებას უწევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს იმ გერმანელ მოქალაქეთა მიმართ, რომელნიც გამოთქვამენ სურვილს წავიდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ამის თაობაზე მიმართავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩომ მარტო 1955 წელს მოახდინა 500-ზე მეტი გერმანელი მოქალაქის რეპატრიირება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გარდა იმ პირებისა, რომლებიც რეპატრიირებულ იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოეპოვება, არის შემთხვევები, რომ ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო მოლაპარაკებას აწარმოებს დასავლეთ გერმანიაში „რეპატრიაციის შესახებ" გერმანული ეროვნების საბჭოთა მოქალაქეებთან, რომლებიც გასული ომის პერიოდში გერმანიის ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და რომლებიც ჰიტლერელმა ხელისუფლებმა მაშინ გერმანიის მოქალაქეებად გამოაცხადეს. ამასთან დაკავშირებით სამინისტროს სურს განაცხადოს, რომ საბჭოთა მთავრობა არ ცნობდა და არ ცნობს ჰიტლერელ ხელისუფალთა დადგენილებებს იმის შესახებ, რომ გერმანიის მოქალაქეობა გავრცელდეს გერმანული ეროვნების იმ პირებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ტერიტორიაზე, რომელიც დროებით ოკუპირებულ იქნა.

სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ საელჩო მხედველობაში მიიღებს ზემოხსენებულს.

ქ. მოსკოვი, 1956 წლის 30 ოქტომბერი".

# სუმგაითელი მეტალურგები რუსთავში

რუსთავს ესტუმრა სუმგაითის მილსაგლინავი ქარხნის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ქარხნის შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი ვ. სერგეევი, უფროსი მვალცავი მ. მაჰერამოვი, მეფოლადე ვ. ბონდარევი, უფროსი გამხურებელი ე. მირზა, ცეცხლფარეში მ. გასიმოვი, ზეინკალი ხ. ყულიევი, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის წარმომადგენელი თ. სიდელნიკოვი.

სუმგაითელი მეტალურგები რუსთავში რამდენიმე დღეს დაჰყოფენ, გაეცნობიან ქართველ თანამოძმეთა მუშაობის გამოცდილებას და შეაჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგებს.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. (ტასი). გუშინ დაახლოებით შუაღამისას მოსკოვის დროით შეიკრიბა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ეგვიპტის საჩივარი ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიული მოქმედების გამო. უშიშროების საბჭომ მიიღო იუგოსლავიის წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ იმ სერიოზული მდგომარეობის განსახილველად, რომელიც შეიქმნა ეგვიპტის წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედების შედეგად.

წინადადებას საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ ხმა მისცეს იუგოსლავიამ, სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ირანმა, პერუმ და კუბამ. საგანგებო სესიის მოწვევის წინააღმდეგ ხმა მისცეს ინგლისმა და საფრანგეთმა. თავი შეიკავეს ავსტრალიისა და ბელგიის დელეგაციებმა.

როგორც ვიუწყებოდით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ გამოაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის პირველი სხდომა გაიმართება 1 ნოემბერს 17-00 საათზე ნიუ-იორკის დროით (2 ნოემბრის 01 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით).

პირველმა სიტყვა აიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა. მან განაცხადა, რომ სურდა მიმართვა გაეგზავნა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის, როგორც ამას გუშინ მოითხოვდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მეორე პროექტი (მეორე პროექტი იყო საბჭოთა კავშირის დელეგაციის პროექტი). მაგრამ დღევანდელი დღის ამბებმა (იგულისხმება ინგლისის და საფრანგეთის აგრესიული მოქმედება ეგვიპტის წინააღმდეგ. — რედ.), განაგრძო გენერალურმა მდივანმა, ეს უაზრო გახადა. გენერალურმა მდივანმა წაიკითხა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა დაიცვას თავისი ვალდებულებანი და შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ყველა მუხლი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ თავის მოვალეობად მიაჩნია იყოს წესდების პრინციპებისა და მიზნების მსახური.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის მოკლე განცხადების შემდეგ იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სავსებით უჭერენ მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მის მოვალეობათა გაგებაში, გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია სავსებით ენდობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და მხარს უჭერს მას მის მუშაობაში და მის რწმუნებათა შესრულებაში.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში უშიშროების საბჭოს გუშინდელი სხდომის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა, განაგრძო შემდეგ ა. ა. სობოლევმა. უკანასკნელ საათებში მიღებული ცნობებით დაიწყო ინგლის-საფრანგეთის შეერთებული ძალების შეჭრა ეგვიპტეში. ამრიგად, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ახლო აღმოსავლეთში შეიარაღებული ინტერვენციის მუქარიდან შეუდგნენ ეგვიპტის ტერიტორიის ოკუპაციის თავიანთ წინასწარ გამოცხადებული გეგმის შესრულებას.

საბჭოთა დელეგაცია თავის ღრმეს თანაგრძნობას უცხადებს ეგვიპტის მთავრობასა და ხალხს, რომლებიც ასეთი მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენეს. ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვეპარება, რომ ეგვიპტის ხალხი, რომელმაც ბევრი განსაცდელი გამოიარა, ამ მძიმე ჟამსაც შეძლებს დაიცვას თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა გარედან ყოველგვარი ხელყოფისაგან.

მოქმედება ინგლისისა და საფრანგეთისა, რომლებმაც გააჩაღეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, წარმოადგენს იმ ვალდებულებათა უხეშ დარღვევას, რომლებიც მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით იკისრეს.

უშიშროების საბჭოს არ შეუძლია გულგრილი დარჩეს ასეთ რთულ ვითარებაში და დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ აღკვეთოს აგრესია ეგვიპტის სახელმწიფოს წინააღმდეგ, აღადგინოს მშვიდობა და სიწყნარე დედამიწის ამ რაიონში.

საბჭოთა დელეგაცია შეშფოთებულია ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გართულებით და საჭიროდ მიაჩნია, რომ უშიშროების საბჭომ დაგმოს ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიული მოქმედება.

საბჭოთა დელეგაცია საჭიროების შემთხვევაში მზად არის შეიტანოს შესაბამისი რეზოლუციის პროექტი.

უშიშროების საბჭო, რომელსაც მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, განზე ვერ დარჩება თავისი პირდაპირი და უშუალო ვალდებულებების შესრულებისაგან. მთელი მსოფლიოს ხალხები მოელიან უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას.

შემდეგ სიტყვა მიეცა ეგვიპტის წარმომადგენელს.

ამჟამად, თქვა ლუტფიმ, ინგლის-საფრანგეთის ავიაცია ბომბავს ეგვიპტის ქალაქებსა და სოფლებს, ამზადებს თავისი ჯარების გადასხმას. მან დაადასტურა თავისი განცხადება დეპეშათა სააგენტოების ცნობებით კაიროს და ეგვიპტის სხვა დასახლებული პუნქტების დაბომბვის შესახებ. აქედან ჩანს, თქვა მან, რომ კოლონიზატორები ვერ გამოაფხიზლა ვერც უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობის ხმის მიცემამ რეზოლუციის საბჭოთა და ამერიკული პროექტებისათვის, ვერც მთელი მსოფლიოს ხალხთა პროტესტებმა.

შექმნილ გარემოებებში, თქვა ლუტფიმ, ეგვიპტეს იმის მეტი გამოსავალი არა აქვს, რომ მიიღოს საკუთარი ღონისძიებანი აგრესორთა წინააღმდეგ. ეს სრულიად არაპროვოცირებული აგრესია ლახვარია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ლახვარია მთელი კაცობრიობისათვის.

მე მოვითხოვ, განაცხადა დასასრულ ეგვიპტის წარმომადგენელმა, რომ საბჭოს წევრებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი და დაგმონ აგრესორები. თქვენ მოვალენი ხართ გააკეთოთ ეს.

შემდეგ სიტყვა აიღო იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბრილეიმ, რომელმაც თქვა: უკანასკნელ 24 საათში უშიშროების საბჭო მეორედ დააყენეს დაუფარავი აგრესიის აქტის წინაშე. ორივე აგრესია — ეგვიპტეზე ისრაელისა და ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ძალების თავდასხმა — ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ არ შეიძლება ისინი ცალ-ცალკე აქტებად მივიჩნიოთ. ინგლის-საფრანგეთის თავდასხმის მოტივები ცხადია: მათ სურთ ძალით ჩაიგდონ ხელში სუეცის არხი. ბრილეიმ მოიყვანა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ტიტოს განცხადება ამ აგრესიის უმძიმესი შედეგების შესახებ და დასასრულ თქვა: თუ აგრესორთა ვეტოს ან სხვა მიზეზების გამო უშიშროების საბჭო კვლავ პარალიზებული აღმოჩნდა, ამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას პასუხისმგებლობა არ ეხსნება. იგი დაეკისრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს.

აგრესიის ფარისევლური გამართლებით გამოვიდა დიქსონი (ინგლისი). იგი ამტკიცებდა, რომ ინგლის-საფრანგეთის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ დაწყებულია „მშვიდობისა და წესრიგის დაცვის ინტერესებისათვის". იგი საერთოდ უარყოფდა აგრესიის ფაქტს და აცხადებდა, „აგრესიის ცნება სადავოაო".

მხოლოდ ერთი მომენტით უკუაგდო ინგლისის წარმომადგენელმა ფარისევლობა და, გაიხსენა რა ეგვიპტის მთავრობის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია, განაცხადა, რომ ინგლისს [illegible] აქვს [illegible] თავისი [illegible].

აგრესიის, [illegible] „გამართლებით" გამოვიდა საფრანგეთის [illegible] განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს დაწყებულ მოქმედებას ეგვიპტის წინააღმდეგ.

ირანის წარმომადგენელმა დაგმო ინგლისისა და საფრანგეთის მოქმედება და განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა გამონახოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა „ბოლო მოუღოს ამ გაუმართლებელ აგრესიას".

შემდეგ კვლავ გამოვიდა იუგოსლავიის წარმომადგენელი ბრილეი. მან ოფიციალურად შეიტანა წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ.

იუგოსლავიის წარმომადგენლის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტში ნათქვამია:

„უშიშროების საბჭო,

ითვალისწინებს რა, რომ შეიქმნა სერიოზული მდგომარეობა ეგვიპტის წინააღმდეგ დაწყებული მოქმედების შედეგად;

იღებს რა მხედველობაში, რომ ერთხმივობის უქონლობამ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა შორის მის 749-ე და 750-ე სხდომებზე ხელი შეუშალა მას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მთავარი მოვალეობის შესრულებაში;

ადგენს მოწვეულ იქნას საგანგებო წესით გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია, როგორც ეს გათვალისწინებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში, იმისათვის, რომ გააკეთოს სათანადო რეკომენდაციები".

ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ამ წინადადების წინააღმდეგ და მიმართეს საპროცედურო ხრიკებს. დიქსონმა (ინგლისი) გაიმეორა თავისი მტკიცება, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მოქმედება „არ წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისათვის". ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა მუქარით განაცხადეს, რომ გენერალური ასამბლეის მოწვევას „სერიოზული შედეგები ექნება".

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბრილეიმ უპასუხა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა გამოსვლებს და ცხადყო მათი ფორმალური არგუმენტების უსაფუძვლობა. შეიარაღებული შეჭრა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ქალაქების დაბომბვა, განაცხადა მან, ეს უკვე მშვიდობისადმი საფრთხე კი არა, მშვიდობის დარღვევაა.

ამერიკის შეერთებული შტატების, პერუს, კუბის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს იუგოსლავიის წინადადებას. ავსტრალიის წარმომადგენელმა უოკერმა გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ.

შემდეგ კენჭი უყარეს წინადადებას გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ. ამ წინადადებას ხმა მისცა 7 დელეგაციამ (იუგოსლავია, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი, პერუ, კუბა და ჩანკაიშელი). იუგოსლავიის წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა. ბელგიისა და ავსტრალიის დელეგაციებმა თავი შეიკავეს.

რამდენადაც წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთი ორგანოს მიერ მეორე ორგანოსათვის საკითხის გადაცემის შესახებ საპროცედუროა, ერთხმივობის უფლება უშიშროების საბჭოში არ მოქმედებს, ამრიგად, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა ინგლისისა და საფრანგეთის ცდები ხელი შეეშალათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის განეხილა მათი აგრესიული მოქმედების საკითხი ეგვიპტის წინააღმდეგ. გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია მოწვეულ იქნება უშიშროების საბჭოს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად და მასზე განიხილავენ იმ სიტუაციის საკითხს, რომელიც შეიქმნა ეგვიპტის წინააღმდეგ ისრაელის, ხოლო შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიის შედეგად.

**საუბარი ჩვენს რესპუბლიკაში**

**რა მოგვცა დიდმა ოქტომბერმა**

# უმაღლესი ტექნიკური განათლება საქართველოში

რ. დვალი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში, მან დასაბამი მისცა კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისა და სოციალიზმის მშენებლობის ერას. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ცხოვრების გზაზე გამოიყვანა საბჭოთა ქვეყანაში შემავალი ხალხები, ხოლო კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო ამ ხალხთა დიადი მეგობრობა.

ხალხთა მრავალეროვან ძმურ საბჭოთა ოჯახში სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე გამოვიდა ქართველი ხალხიც. საქართველო გადაიქცა მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც ამჟამად, ოქტომბრის რევოლუციის 39-ე წლისთავზე, აქვს მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა და ახალმშენებლობათა ფართოდ გაშლამ გამოიწვია სხვადასხვა სპეციალობის მრავალრიცხოვანი ტექნიკური კადრების მომზადების აუცილებლობა. ამას მოჰყვა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების შექმნა ინჟინერთა ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად.

ჩვენს უმაღლეს ტექნიკურ განათლებას საფუძველი ჩაეყარა თბილისის უნივერსიტეტში, სადაც პოლიტექნიკური ფაკულტეტი 1922 წელს გაიხსნა. ამ ფაკულტეტზე დაარსებული იყო სამი განყოფილება — სამშენებლო, მექანიკური და სამთო, თვითეული სამ-სამი სპეციალობით. 1923-24 სასწავლო წელს პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ირიცხებოდა 352 სტუდენტი, რომელთაც ამზადებდა ათიოდე პროფესორ-მასწავლებელი.

1928 წელს მოხდა ქართველ ინჟინერთა პირველი გამოშვება, რაც დიდი ზეიმით აღინიშნა. ამავე წლისათვის მომწიფდა ჩვენში უმაღლესი განათლების მქონე ტექნიკური კადრების მომზადების გაფართოების საკითხი; მით უმეტეს, რომ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე უკვე ირიცხებოდა 1.187 სტუდენტი. მთავრობის დადგენილებით პოლიტექნიკური ფაკულტეტი გამოეყო სახელმწიფო უნივერსიტეტს და გადაკეთდა ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტად.

ამ თარიღიდან მოყოლებული ფართოვდება და უმჯობესდება ჩვენში უმაღლესი განათლების მქონე ტექნიკური კადრების მომზადება. 1930 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს გამოეყო თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დიდმა გარდაქმნებმა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის ფართო დანერგვამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების აუცილებლობა. ეს საქმე იკისრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა.

ამრიგად, დღეისათვის ჩვენ მოგვარებული გვაქვს ძირითად დარგებში ტექნიკური კადრების მომზადების საკითხი და, შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევებით ვხვდებით დიდი ოქტომბრის რევოლუციის 39-ე წლისთავს.

ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 7 ფაკულტეტი ამზადებს 30 სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრებს. მან დღემდე გამოუშვა 13.975 სპეციალისტი, ხოლო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ხუთმა ფაკულტეტმა თავისი დამოუკიდებელი არსებობის პერიოდში უზრუნველყო 7.471 სპეციალისტის გამოშვება.

ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი ტექნიკური განათლების ორგანიზაციისა და გაფართოების პროცესში პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდნენ სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას. ამის შედეგად, თუ 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე მუშაობდა მხოლოდ ათიოდე პროფესორ-მასწავლებელი, დღეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა 28 პროფესორი და 211 დოცენტი, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში — 13 პროფესორი და 76 დოცენტი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე — 3 პროფესორი და 33 დოცენტი.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკთა მიერ დაწერილია 20 სადოქტორო და 326 საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში — 10 სადოქტორო და 98 საკანდიდატო დისერტაცია.

საქართველოს უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა დიდი მუშაობა გასწიეს ქართული ტექნიკური ლიტერატურის შესაქმნელად, მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით როგორც ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დადგენა-დამუშავებაში, ისე ცალკეულ დისციპლინებში სახელმძღვანელოების შედგენაში.

ჩვენში უმაღლესი ტექნიკური განათლების განვითარებასა და მის სწორ წარმართვას ხელს უწყობდა და უწყობს ის ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებთან და განსაკუთრებით რუსეთის სფსრ სამეცნიერო დაწესებულებებთან. რუსი მეცნიერების დახმარებით აღიზარდა და ჩამოყალიბდა ბევრი ქართველი მეცნიერი, რომლებიც ამჟამად ეწევიან დამოუკიდებელ შემოქმედებითს მუშაობას.

უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში დღიდან მათი დაარსებისა დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 51, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის 27 და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 12 კათედრა ყოველწლიურად ამუშავებს რამდენიმე ასეულ სამეცნიერო თემას, რომლებიც უპასუხებენ მეცნიერებისა და წარმოების ინტერესებს. ბევრ კათედრას მოპოვებული აქვს ასპირანტების — ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების უფლება, რითაც ხელს უწყობს რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების კვალიფიციური მკვლევარებით უზრუნველყოფას და ჩვენში მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა 170 კაცმა დაამთავრა.

ჩვენი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა დაამუშავეს ბევრი აქტუალური პრობლემა რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევის, ახალი ნედლეულის შექმნის, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, საინჟინრო გაანგარიშებისა და მრავალ სხვა დარგში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიებში დამუშავებული ელექტროლიზური მარგანეცის მიღების ხერხი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკისათვის, წარმოებაშია დანერგილი. დიდი ეფექტისა და ეკონომიურობის გამო ქიმიური მრეწველობის რამდენიმე ქარხანაში ინერგება ამავე ინსტიტუტის მიერ დამუშავებული წარმოების გაზების ორგანული გოგირდისა და გოგირდწყალბადისაგან გაწმენდის ხერხი. მანქანათმშენებლობის დარგში შესრულებული ბევრი საინტერესო სამუშაოდან ერთი მონოგრაფია, მიძღვნილი ლითონთა ჭრის თეორიის საკითხებისადმი, ითარგმნა გერმანულ ენაზე და გამოიცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ბუდაპეშტში უნგრულ ენაზე გამოვიდა ამავე ინსტიტუტში შედგენილი სახელმძღვანელო „სასარგებლო წიაღისეულთა მიწის ქვეშ დამუშავების მეთოდები".

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში დამუშავებული სეისმურ რაიონებში მშენებლობის ნორმები მთლიანად შევიდა „სეისმურ რაიონებში მშენებლობის დებულებაში", რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ. ამავე ინსტიტუტში შედგენილი სახელმძღვანელოებიდან ერთი — „ჰიდროენერგეტიკული წარმოების საფუძვლები" ითარგმნა ჩინურ და რუმინულ ენებზე, ხოლო მეორე — „გვირაბები" — ჩინურ ენაზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის კათედრებმა ბევრი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნეს სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის საკითხებს. მათ ეკუთვნის პირველობა ცვალებადი შეკუმშვის ხარისხის მქონე შიგაწვის ძრავას შექმნაში.

მეექვსე ხუთწლედში უდიდესი მნიშვნელობა ექცევა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას. ამასთან დაკავშირებული საკითხების სწრაფად გადაჭრის მიზნით მარტო ჩვენს რესპუბლიკაში იქმნება რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო: თბილისში — ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, გორში — მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რუსთავში — მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი და სხვ.

ჩვენმა უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა ეს ახალი დაწესებულებანი და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა უნდა უზრუნველყონ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტებით. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უახლოეს დროში იხსნება ახალი სპეციალობები: ავტომატიკის, ტელემექანიკის, ნახევრადგამტარებისა და სხვ. ამ სპეციალობებზე სწავლების მაღალი ხარისხის და ამ დარგებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უზრუნველსაყოფად ინსტიტუტში იხსნება ავტომატიკისა და ტელემექანიკის ლაბორატორია, რომელშიც, გარდა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა, იმუშავებენ სასწავლო დატვირთვისაგან განთავისუფლებული მეცნიერი მუშაკები და გამოცდილი ინჟინრები. გარდა ამისა, მომავალი წლიდან მუშაობას დაიწყებს რადიოქიმიური ლაბორატორია, რომელშიც სამეცნიერო მუშაობა მიმართული იქნება ატომური ენერგიის გამოსაყენებლად მშვიდობიანი მიზნებისათვის.

ამრიგად ჩვენს რესპუბლიკაში ტექნიკური განათლების საქმე, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობით აყვანილია თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა მაქსიმალური დაძაბულობით იზრუნონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

# ეგვიპტის მთავრობის განცხადება ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით

კაირო, 31 ოქტომბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა ეგვიპტის მთავრობის შემდეგი განცხადება ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით: ისრაელმა საომარი ოპერაციები დაიწყო ეგვიპტის ტერიტორიაზე და ამით დაარღვია საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და შეთანხმება დაზავების შესახებ. ისრაელის ეს აქცია მიჩნეულია მტრულ აქციად ეგვიპტის წინააღმდეგ, მისი ტერიტორიისა და უშიშროების მთლიანობის წინააღმდეგ.

ამიტომ ეგვიპტის მთავრობა ინარჩუნებს უფლებას მიმართოს ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც მას შეუძლია განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, მათ შორის თავდაცვის უფლებას.

ეს ოპერაციები დაიწყო ისრაელმა, მიუხედავად მის პასუხისმგებელ ხელისუფალთა განცხადებისა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ არ იქნება ჩადენილი არავითარი აგრესია და რომ მისი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია არის ღონისძიება, რომლის მიზანია მისი საზღვრების დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებით, რომლითაც ისრაელის პრემიერ-მინისტრმა და მისმა ელჩმა ვაშინგტონში ერთი დღის წინათ იკისრეს არ მიემართათ აგრესიისათვის. დადასტურდა, რომ ყველა ეს განცხადება აშკარა სიცრუეა და ამრიგად დამტკიცდა, რომ მისი მიზანი, როგორც ახლა ცხადი გახდა, იყო შეცდომაში შეეყვანათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი იმ დროს, როცა აპირებდნენ გამცემლური თავდასხმა მოეხდინათ ეგვიპტეზე.

გუშინ განხორციელებული ოპერაციები მხოლოდ ნაწილია ისრაელის თავდასხმების სერიისა ეგვიპტისა და არაბთა ქვეყნების საზღვრებზე უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში, რასაც მიზნად აქვს შექმნას მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობა და მუქარა მშვიდობისათვის შუა აღმოსავლეთში, და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი არაერთგზის დაუგმიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.




# ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები ეგვიპტისაკენ მიდიან

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ღამით ლონდონში გრძელდებოდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პრემიერ-მინისტრი იდენი და ინგლისის სხვა მინისტრები, აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. პინო, რომელიც ინგლისის დედაქალაქში დარჩა მას შემდეგ, რაც გი მოლე გუშინ პარიზში დაბრუნდა.

როგორც ჟურნალისტთა წრეებში ცნობილი გახდა, ამ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გადაწყდა საფრანგეთისა და ინგლისის ჯარებს მისცენ განკარგულება შევიდნენ სუეცის არხის ზონაში, რამდენადაც ეგვიპტემ უარყო ინგლის-საფრანგეთის ულტიმატუმი.

ასოშიეიშნ პრესის სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ „რამდენადაც დღეს დილაადრიან ლონდონში ცნობილი იყო, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები მიემართებიან პორტ-საიდისაკენ, ისმაილიისა და სუეცისაკენ“.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს დილაადრიან ნიქოზიიდან (კვიპროსი) უცნობი სამხრეთი მიმართულებით გაფრინდნენ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები. ამავე დროს საფრანგეთის სატრანსპორტო თვითმფრინავები მიფრინავენ ტიმბუდან (8 მილზე ნიქოზიის აღმოსავლეთით) და აკროტირიდან (ლიმასოლის სამხრეთ-დასავლეთით).

30 ოქტომბერს დილიდანვე სავსებით შეიარაღებული ინგლისელთა სადესანტო-დივერსიული ჯარები სადესანტო გემებში სხდებოდნენ ლა-ვალეტის დიდ ნავსადგურში (მალტა). გემებში ჩატვირთულია ამფიბია-ავტომანქანები, ტრანსპორტიორები ტყვიამფრქვევებისათვის, საველე ქვემეხები და ბევრი სატრანსპორტო საშუალება.

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება ახლო აღმოსავლეთში გი მოლეს მთავრობის პოლიტიკის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

„გუშინ დღის მეორე ნახევარში, რამდენიმე საათით გვიან ეგვიპტის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარების შეჭრის შემდეგ, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ულტიმატუმი წარუდგინეს ეგვიპტეს ეგვიპტის ტერიტორიაზე საფრანგეთისა და ინგლისის ჯარების გადასხმის შესახებ.

ამ უგუნურ და წინასწარმოფიქრებულ აქტს შეუძლია გამოიწვიოს ომის გაფართოება მთელ ახლო აღმოსავლეთში, ვითარების გაუარესება ალჟირსა და მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში და ახალი მსოფლიო ომის დაწყება.

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი კატასტროფის პირას დგას.

ნუთუ მთავრობა, რომელსაც სოციალისტები ხელმძღვანელობენ, რეაქციის ტაშის გრიალში საფრანგეთს ჩაითრევს სისხლისმღვრელ ავანტიურაში, რათა აღადგინოს სუეცის არხის კომპანიის მილიარდერთა პრივილეგიები?

ჩვენი ქვეყნისათვის ეს დამღუპველი პოლიტიკა გადაჭრით ეწინააღმდეგება მუშათა კლასისა და მთელი ხალხის მისწრაფებას, რომელიც ცხადად დაადასტურა 2 იანვრის არჩევნების შედეგმა (1956 წლის 2 იანვარს მოხდა ეროვნული კრების არჩევნები. — რედ.).

აი ამიტომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც მგზნებარედ უჭერს მხარს მშვიდობის საქმეს და დარწმუნებულია, რომ ემსახურება ერის ინტერესებს, საქვეყნოდ აცხადებს პროტესტს ომის აქტის წინააღმდეგ, რასაც საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა მიმართეს.

ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს დაგმობილ იქნას ისრაელის აგრესია, საფრანგეთში დააბრუნონ ჯარები, რომლებიც განკუთვნილი არიან ეგვიპტეში გადასასხმელად, საფრანგეთის სამხედრო ფლოტი დააბრუნონ თავის ბაზაში — ტულონში.

ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ, რომ სუეცის არხის პრობლემა გადაიჭრას მოლაპარაკების საშუალებით იმ ექვსი პრინციპის საფუძველზე, რომლებიც უშიშროების საბჭომ მოიწონა.

მხოლოდ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებს. მხოლოდ იგი მოგვცემს შესაძლებლობას შევინარჩუნოთ და გავაფართოოთ საფრანგეთის გავლენა მსოფლიოში.

საფრანგეთის მუშათა კლასი და მთელი ხალხი, რომელიც უკვე განიცდის ალჟირის ომის მძიმე შედეგებს, ცხოვრობს განგაშისა და შეშფოთების ვითარებაში იმის ფიქრით, რომ აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ შეიძლება გახდეს მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი, რომლის მთელი საშინელების წარმოდგენა ძნელი არ არის.

დადგა მომენტი მუშათა კლასის, დემოკრატებისა და პატრიოტების მოქმედების გაერთიანებისათვის, რათა შეჩერებულ იქნას ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მოქმედება.

დადგა მომენტი კომუნისტი და სოციალისტი მშრომელების ერთიანი მოქმედებისათვის, რათა მშვიდობის გარშემო შეიქმნას გადაულახავი ბარიერი.

დადგა მომენტი ქარხნებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, ქალაქებსა და სოფლებში მოქმედების ერთიანობისათვის, რათა გულმავიწყ დეპუტატებს მოვაგონოთ მათი დაპირება, რომელიც 2 იანვარს მისცეს, და ის, რომ ფრანგ ხალხს ომი არა სურს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, დარწმუნებული, რომ გამოხატავს ხალხის დიდი უმრავლესობის გრძნობებს და მოქმედებს ეროვნული ინტერესების შესაბამისად, შეასრულებს თავის მოვალეობას, რათა გზა გადაუღობოს ომს“.

# „მტკიცე და ურღვევი ძმური მეგობრობა“

## („რუდე პრავო“ საბჭოთა მთავრობის დეკლარაციის შესახებ)

პრაღა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მთავრობის „დეკლარაციას საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ ჩეხოსლოვაკიაში დიდი მოწონებით შეხვდნენ.

გაზეთი „რუდე პრავო“ ეხება საბჭოთა მთავრობის დეკლარაციას და წერს:

„განსაკუთრებით ამ დღეებში კარგად გვესმის, თუ რას ნიშნავდა და ნიშნავს ჩვენთვის და ჩვენი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირი — ოქტომბრის რევოლუციის ქვეყანა, ლენინის ქვეყანა. ჩვენი ბედის ყველაზე მძიმე მომენტებში მუდამ მხარს გვიჭერდა საბჭოთა ხალხის ძმური დახმარება. საბჭოთა ტანკებთან ერთად 1945 წელს ჩვენში ამოვიდა თავისუფლების მზე. 1947 წლის მკაცრი გვალვის პერიოდში ჩოპის სადგურის გავლით მოდიოდნენ ხორბლით დატვირთული მატარებლები. ყოველ დროს, როცა საბჭოთა ძმებს მივმართავთ ხოლმე, ყოველთვის ვხვდებით მათს ურთიერთგაგებასა და მხარდაჭერას. ასევე საბჭოთა ხალხიც პატივისცემით ეპყრობა ჩვენს მუშებს, მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენი სამრეწველო განვითარების დონეს და ნამდვილად უყვარს ჩვენი ხალხი, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უყვართ საბჭოთა კავშირი.

ჩვენ ვიცით ჩვენი გზა და ამ გზით მივდივართ მტკიცე ნაბიჯით უკვე 1945 წლის მაისიდან. ჩვენ ვიცით, ვინ არიან ჩვენი მეგობრები. სიამაყით ყველას გასაგონად ვლაპარაკობთ ჩვენს წმიდა და გულწრფელ ძმურ მეგობრობაზე საბჭოთა კავშირთან. ჩვენი ხალხები ისტორიის მწარე გაკვეთილით საკმაოდ დარწმუნდნენ სხვადასხვა ცრუმეგობრების ვერაგობაში, რომლებიც ბოლოს და ბოლოს გადამწყვეტ მომენტში არა მარტო გვტოვებდნენ, არამედ კიდევაც გვღალატობდნენ. საბჭოთა კავშირს თავისი მეგობარი და ძმა არასოდეს არ გაუცია და არც გასცემს.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ საბჭოთა მთავრობის დეკლარაციას სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან მისი ურთიერთობის შესახებ. ამ დოკუმენტიდან კვლავ სრული სიცხადით გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის პრინციპი — იცხოვროს მშვიდობით ყველა ხალხთან და სახელმწიფოსთან, განამტკიცოს სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ერთიანობა და გააფართოოს ურთიერთ დახმარება. სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ურთიერთობა, ნათქვამია ამ დოკუმენტში, შენდება ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე. ჩვენ, ჩეხოსლოვაკიის მთელი მშრომელი ხალხი, სრული საფუძვლით ვაცხადებთ: საბჭოთა კავშირთან ჩვენი ურთიერთობის მაქსიმალური სარგებლობაა სწორედ ჩვენი მტკიცე და ურღვევი ძმური მეგობრობა“.

# მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

ვენა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ ეგვიპტისა და ისრაელის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

გაცნობებთ იმ დეპეშის ტექსტს, რომელიც ჩვენ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გავუგზავნეთ:

მშვიდობის მსოფლიო საბჭო საზოგადოებრივი აზრის შეშფოთებას გამოთქვამს ახლო და შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის მოულოდნელი გამწვავების გამო.

ეს შეშფოთება მით უფრო დიდია, რომ ხალხებს ჰქონდათ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების იმედი, რადგან მათ ორი წლის განმავლობაში შეეძლოთ შეეფასებინათ მისი კეთილმყოფელი შედეგი.

მრავალი ღონისძიება და უმთავრესად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებანი გვაძლევდნენ იმის იმედს, რომ მდგომარეობა შუა აღმოსავლეთში და სუეცის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდებოდა. ეგვიპტის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს ომი, რომლის შედეგებისა და საზღვრების გათვალისწინება შეუძლებელია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოითხოვს გამოიყენოს მთელი თავისი ავტორიტეტი, რათა შეწყვიტოს საომარი მოქმედება და მტკიცედ მოუწოდოს დაინტერესებულ სახელმწიფოებს მოლაპარაკებით მოაწესრიგონ თავიანთი უთანხმოება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მთელი თავისი ძალებით მხარს დაუჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივას, რომლის მიზანი იქნება საომარი მოქმედების შეწყვეტა და მოლაპარაკება. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა მოითხოვს მშვიდობის აღდგენას. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო 8 ნოემბრისათვის იწვევს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს საგანგებო სხდომას.

ამ სერიოზულ ჟამს გიცხადებთ ჩვენს მეგობრულ გრძნობებს.

**მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო**

# პრეზიდენტ ი. ბროზ ტიტოს განცხადება ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ბელგრადი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ტანიუგის სააგენტომ გადასცა პრეზიდენტ ი. ბროზ ტიტოს განცხადება ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ახლო აღმოსავლეთში ისრაელმა მოახდინა აშკარა აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, რის შედეგადაც შეიქმნა ომის მდგომარეობა, რომელიც იმუქრება გადაიქცეს დიდი მასშტაბის ომად, რომლის შედეგების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.

გუშინ ინგლისი და საფრანგეთი ეგვიპტის ტერიტორიაზე ისრაელის შეჭრის შედეგებისაგან ამ რაიონის დაცვის საბაბით ეგვიპტეს დაემუქრნენ შეიყვანონ ჯარები სუეცის არხის ზონაში. მაგრამ ეს არ არის ღონისძიება ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, აგრეთვე მისგან დასაცავად. საქმე რომ აქამდე მივიდეს, ეს, პირიქით, იმავე აგრესიის გაგრძელება იქნებოდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა თავიანთი ცალმხრივი გადაწყვეტილება გამოაცხადეს ისე, რომ არ დაუცადეს ღონისძიებათა მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ და კიდევაც ჩაშალეს უშიშროების საბჭოს მუშაობა, რომელიც იმისათვის შეიკრიბა, რომ განეხილა ეს საკითხი და მიეღო გადაწყვეტილება მის შესახებ.

მწუხარებას იწვევს და შეიძლება ტრაგიკული გახდეს ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში, როცა ყველა მთავრობა თავის ღონისძიებებს უნდა ახმარდეს მრავალი არსებული პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას, იქმნება ახალი საშიში მდგომარეობა, რომლის გამოყენებას თავისი ანგარებითი მიზნებისათვის ცდილობენ ზოგიერთნი.

თუ ეს აგრესია არ შეწყდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის ერთობლივი ღონისძიებებით, ამას შეიძლება მოჰყვეს შორს მიმავალი შედეგები მშვიდობის საქმისათვის მსოფლიოს ამ ნაწილში. შეუძლებელი და შეუწყნარებელია, რომ ჩვენს დროში ისეთი საკითხები, როგორიც სუეცის საკითხია, გადაიჭრას ძალის საშუალებით. ამასთან დაკავშირებით მთელი მსოფლიო კანონიერად მოელის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთლიანად და ყველა მისი წევრი ცალცალკე იხელმძღვანელებენ საერთაშორისო თანამშრომლობის ხანგრძლივი ინტერესებით და, დაგმობენ რა ამ აგრესიასა და მუქარას, ყოველგვარი ღონისძიების მიღებით, ხელს შეუშლიან ომის წარმოშობას და აღადგენენ კაცობრიობის რწმენას, რომ შესაძლებელია მშვიდობის შენარჩუნება და ხალხთა შორის თანამშრომლობის დამყარება.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ გუშინ ეროვნულ კრებაში გააკეთა განცხადება, რომლითაც დეპუტატებს აცნობა საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრების მოლაპარაკების შედეგები. მან განაცხადა, რომ გადაწყდა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები შეიყვანონ სუეცის არხის ზონაში.

დეპუტატთა მოთხოვნით გი მოლეს განცხადება განხილულ იქნა ეროვნული კრების ღამის სხდომაზე. მემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლებმა მოიწონეს მთავრობის მოქმედება და უხეშად ესხმოდნენ თავს ეგვიპტეს.

კომუნისტური ჯგუფის წარმომადგენელმა რაიმონ გიუიომ გადაჭრით დაგმო მთავრობის პოლიტიკა და განაცხადა, რომ იგი ქმნის მთელ ახლო აღმოსავლეთში ომის გავრცელების საფრთხეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის შეიარაღებული ინტერვენცია მომზადებული იყო ინგლისისა და საფრანგეთის მონოპოლიების თანხმობით და მხარდაჭერით. საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოითხოვს, თქვა გიუიომ, გაუქმდეს ულტიმატუმი ეგვიპტისადმი, საფრანგეთის ჯარები დააბრუნონ კვიპროსიდან, სუეცის პრობლემა გადაიჭრას იმ ექვსი პრინციპის საფუძველზე, რომლებიც უშიშროების საბჭომ მოიწონა. ასეთი პოზიცია შეესაბამება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს.

გამოვიდა რა პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის ჯგუფის სახელით, პიერ კოტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ჩარევა უკანონოა. მან განაცხადა, რომ მისი საპარლამენტო ჯგუფი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას.

სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც ნდობას უცხადებს მთავრობას და იწონებს მის პოლიტიკას. ეს რეზოლუცია კენჭის საყრელად დაისვა და მოწონებულ იქნა 368 ხმით 182 ხმის წინააღმდეგ. რეზოლუციას ხმა მისცეს სოციალისტებმა და პარლამენტის მემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლებმა. კომუნისტებმა და პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრებმა, აგრეთვე ზოგიერთმა სხვა დეპუტატმა ხმა მისცეს წინააღმდეგ. 15 დეპუტატმა, მათ შორის 11 რადიკალმა (მათ შორის მენდეს-ფრანსმა) კენჭისყრაში თავი შეიკავა. 31 დეპუტატს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

# მდგომარეობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტში არ მუშაობს სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა. მუშათა საბჭოები, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნებში შეიქმნა, აცხადებენ, რომ მუშები და მოსამსახურეები მუშაობას არ შეუდგებიან, სანამ „სრულად და დაუყოვნებლივ არ დააკმაყოფილებენ ყველა მათს მოთხოვნას“.

საბჭოთა ჯარები გაყვანილი არიან ბუდაპეშტიდან.

დღეს ბუდაპეშტში გამოვიდა გაზეთები „ნეპსავა“, „მადიარ ფიუგეტ-ლენშეგი“ და ზოგიერთი სხვა გაზეთი.

საღამოს ცხოვრება ქალაქში გამოცოცხლდა. ქუჩებში გამოჩნდა ბევრი ქვეითი, ავტომობილი. მაგრამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჯერ არ მუშაობს.

მთავრობამ მიწათმოქმედთ მიმართა მოწოდებით, რომლითაც აცხადებს, რომ გადაწყვიტა გამოასწოროს ყველა შეცდომა, რომლებიც დაშვებული იყო უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ყველაზე სასწრაფო ამოცანა ამჟამად არის საშემოდგომო სამუშაოთა დამთავრება. ეს სამუშაოები უნდა მოაწყონ ადგილობრივმა ეროვნულმა კომიტეტებმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და სამმართველოს იმ ორგანოებთან თანამშრომლობით, რომლებიც სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შეიქმნა.

# ინგლისის თემთა პალატაში

## ოპოზიცია აცხადებს, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესია „კატასტროფული უგუნურების აქტია“

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრ იდენის განცხადებამ ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ინტერვენციის გეგმის შესახებ პარლამენტში დიდი აღელვება და შეშფოთება გამოიწვია.

თემთა პალატის ღამის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ლეიბორისტული ოპოზიციის მრავალმა წარმომადგენელმა, რომლებიც აფრთხილებდნენ მთავრობას არ გამოეყენებინა ძალა და ამხილებდნენ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ღონისძიებების, როგორც სუეცის არხის ზონის ხელში ჩაგდების საშუალების, ნამდვილ აზრს.

ლეიბორისტმა სიდნეი სილვერმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის, შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ინტერესები მოითხოვს მშვიდობის შენარჩუნებას ამ რაიონში და არა იმ აქციის განხორციელებას, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა დასახეს. ლეიბორისტმა ჯონ ჰაინდმა თქვა, რომ ძნელია ვერწმუნოთ იდენის სიტყვებს იმის შესახებ, თითქოს სამხედრო ღონისძიებანი საჭიროა ინგლისელთა სიცოცხლის დასაცავად სუეცის არხის ზონაში. სწორედ მუქარა, რომლითაც გამოდიან ინგლისი და საფრანგეთი, თქვა ჰაინდმა, უეჭველია, საფრთხეს შეუქმნის ინგლისელთა სიცოცხლეს. „ჩვენ ვიცით, — დასძინა მან, — რომ პრემიერ-მინისტრი უკვე დიდი ხანია ეძებდა საბაბს იმისათვის, რომ გადაესხა ჯარები არხის რაიონში“.

ლეიბორისტმა კრისტოფერ მეიჰიუმ განაცხადა, რომ მთავრობას „არ შეუძლია თავიდან აიცილოს ეჭვები, რომ მოქმედება, რომელიც მან განახორციელა, დაკავშირებული არ არის უშუალოდ ეგვიპტეში ისრაელის არმიის შეჭრის პრობლემასთან, მაგრამ რომ იგი იყენებს ამ შესაძლებლობას, რათა განახორციელოს სუეცის არხისადმი კონტროლის აღდგენის გეგმა, რომელიც დიდი ხანია მზადდება“.

გამოვიდა რა კამათის დასასრულს, ალფრედ რობენსმა განაცხადა, რომ ლეიბორისტული ოპოზიცია წინააღმდეგია შეიარაღებული ძალების გამოყენებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გვერდის ავლით და იმ დროს, როცა უშიშროების საბჭო განიხილავს ამ პრობლემას.

უპასუხა რა ორატორებს, რომლებიც კამათში გამოვიდნენ, საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი ცდილობდა გაემართლებინა ისრაელის აგრესია. მან უარყო ოპოზიციის მოთხოვნა გადაიდოს ყოველგვარი სამხედრო ღონისძიებანი საკითხის უშიშროების საბჭოში განხილვამდე.

შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომლის დროსაც თემთა პალატამ 270 ხმით 218 ხმის წინააღმდეგ მოიწონა იდენის გადაწყვეტილება შეყვანილ იქნან ჯარები სუეცის არხის რაიონში.

ლონდონი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ა. იდენმა დღეს თემთა პალატაში კვლავ გააკეთა განცხადება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობისა და ამ რაიონში ინგლისის მთავრობის სამხედრო ღონისძიებათა შესახებ.

იდენმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მიერ უშიშროების საბჭოში შეტანილი რეზოლუცია ფაქტიურად იყო ისრაელის როგორც აგრესორის დაგმობა. ამიტომ ინგლისის მთავრობამ არ დაუჭირა მას მხარი.

მაგრამ იდენის შემდგომი განცხადებიდან ცხადი იყო, რომ ისრაელის ჯარები განაგრძობენ აგრესიულ მოქმედებას ეგვიპტის ტერიტორიაზე. იდენმა თქვა, რომ ისრაელის ჯარები უახლოვდებიან სუეცის არხს და რომ იქ ხელთ იგდეს ტყვეები.

იდენმა დაადასტურა ინგლისის მთავრობის განზრახვა საფრანგეთის მთავრობასთან ერთად განახორციელოს სუეცის არხის ზონაში შეჭრის მათ მიერ დასახული გეგმები ვითომდა იქ საომარი მოქმედების შეწყვეტის მიზნით.

ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერმა ჰეიტსკელმა იკითხა, მიცემული აქვთ თუ არა ინსტრუქციები ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს დაიკავონ არხის ზონა ულტიმატუმის ვადის გასვლის შემდეგ. იდენმა თავი აარიდა ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს და მხოლოდ გაიმეორა თავისი წინანდელი განცხადება, რომ ინგლისის ჯარები „ჩაერევიან საჭიროების შემთხვევაში“. „მე არ ვაპირებ ანგარიში ჩავაბარო პალატას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მოქმედება და როგორი იქნება ჩვენი გეგმები, რომლებიც ჩვენს მოკავშირეებთან ერთად დავსახეთ, — დასძინა იდენმა. — ჩვენ ვამბობთ იმას, რაც ვთქვით, და ჩვენ შევასრულებთ ამას“.

ჰეიტსკელმა იდენის სიტყვებიდან გააკეთა დასკვნა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები ამჟამად ლაშქრობაში არიან. „როცა ეს გადაწყვეტილება მიიღო, მთავრობამ, ოპოზიციის აზრით, — თქვა მან, — ჩაიდინა კატასტროფული უგუნურების აქტი, რომლის ტრაგიკულ შედეგებზე მთელ წლებს ვინანებთ“.

ჰეიტსკელმა განაცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის შესახებ ეწინააღმდეგება სოლიდარობას ერთა თანამეგობრობასთან, ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი, აგრეთვე ინგლის-ამერიკის კავშირს.

შეეხო რა უშიშროების საბჭოში ინგლისის წარმომადგენლის პოზიციას, ჰეიტსკელმა თქვა, რომ ინგლისის ვეტოს შეიძლება ეწოდოს მხოლოდ „საბოტაჟის სერიოზული აქტი, რომელიც მიმართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ“. „კიდევ უფრო სერიოზულია ჩვენი შეიარაღებული ჩარევა, — თქვა მან. — ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა დარღვევაა. ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიის ხასიათი არავითარ ეჭვს არ იწვევს. შემდეგი ეტაპი იქნება მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეისადმი“. „ძალიან მეეჭვება, — თქვა ჰეიტსკელმა, — რომ ინგლისსა და საფრანგეთს იქ თუნდაც ერთი მომხრე გამოუჩნდეს“.

ჰეიტსკელმა განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოს მიაჩნია, რომ ინგლისის მთავრობას სურს ისარგებლოს შექმნილი მდგომარეობით, რათა ხელში ჩაიგდოს არხი, მიმართოს რა ძალის პოლიტიკას, რის გამოყენებისაგან მან მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბერში თავი შეიკავა ინგლისისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის გავლენით.

დასასრულ ჰეიტსკელმა განაცხადა, რომ ლეიბორისტულ ოპოზიციას შეაქვს რეზოლუცია, რომელიც გმობს მთავრობის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში.

თემთა პალატის ლიდერმა ბატლერმა დღეს გამოაცხადა, რომ პარლამენტი, რომელსაც მუშაობა უნდა შეეწყვიტა 31 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე თავისი ყოველწლიური სესიის დამთავრების გამო, სხდომებს განაგრძობს 5 ნოემბრამდე.

# არაბთა ქვეყნები მხარს უჭერენ ეგვიპტეს

ბეირუთი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ბეირუთის რადიომ გადასცა, ეგვიპტის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით სირიამ, ერაყმა, იორდანიამ და საუდის არაბეთმა ოფიციალურად აცნობეს ეგვიპტის მთავრობას, რომ სავსებით დაუჭერენ მხარს ეგვიპტეს სამხედრო დახმარებითაც კი, თუ ეგვიპტე ამ დახმარებას ითხოვს.

# საერთაშორისო ცნობები

## მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ გამოაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს დადგენილებით მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია „ეგვიპტის წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედების შედეგად სერიოზულ მდგომარეობასთან“ დაკავშირებით. საგანგებო სესია შეიკრიბება პლენარულ სხდომაზე 1 ნოემბერს 17 საათზე ნიუ-იორკის დროით (2 ნოემბერს 01.00 საათზე მოსკოვის დროით).

## ეგვიპტემ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ინგლისთან და საფრანგეთთან

პარიზი, 1 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, ეგვიპტეში ოფიციალურად გამოცხადდა საფრანგეთთან და ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

## ინგლისისა და საფრანგეთის ავიაციის თავდასხმები ეგვიპტეზე

ლონდონი, 1 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიომ გადასცა, კვიპროსზე ინგლის-საფრანგეთის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ავიაცია დღეს დილით განაგრძობდა სამხედრო აეროდრომების იერიშებს ნილოსის დელტასა და სუეცის არხის ზონაში.

**რედაქტორის მოადგილე**
**რ. ქურციკიძე.**

**დ ღ ე ს**

**თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო, რუსთაველის სახელობის — ფილოსოფიის დოქტორი, მარჯანიშვილის სახელობის — ნანა, გრიბოედოვის სახელობის — პროკურორის ქალიშვილი, სომხური დრამის — კამო, მუსიკალური კომედიის — ახალი სიმღერა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ოჯახი (აბონემენტი № 49, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — მაშენკა (6 ს. და 30 წ.). თოჯინების ქართული — ჯადოსნური ბეჭედი (11 და 2 ს.).

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა (საზამთრო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კიროვის სახელობის პარკი — ჯუზეპე ვერდი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, კომუნარების ბაღი, ისანი (საზამთრო) — მემკვიდრე, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), ძერჟინსკის სახელობის კლუბი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ბორანი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), დიდუბე (საზამთრო), სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი — ასი სერენადა, კოლხიდა (საზაფხულო) — ალიშერ ნავოი, ისანი (საზაფხულო) — მეორე სიჭაბუკე, დიდუბე (საზაფხულო) — ერთგულების გამოცდა, ქრონიკა — ჩვენ ვიყავით ჩინეთში; სიმღერის დღესასწაული ესტონეთში.


**გამომცემლობა „სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უწყებები“** მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5. მიიღება ხელისმოწერა 1957 წლისათვის

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები**

**„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ იბეჭდება:** სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, უცხოეთის სახელმწიფოებთან სსრ კავშირის მიერ დადებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები, აგრეთვე მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ცნობები ცვლილებებზე მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფაში და სხვა საინფორმაციო მასალები.

**„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“ გამოდის**

მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე.

ხელისმოწერის დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომელ ენაზე სურს ხელისმომწერს მიიღოს „უწყებები“.

ხელისმოწერის ფასი — წელიწადში 30 მანეთი.

**ხელისმოწერას იღებენ:**

„სოიუზპეჩატი“, ყველა საფოსტო კანტორა და ხელისმოწერის მიმღები რწმუნებულები.


**საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 3 ნოემბრისათვის**

**პირველი და მეორე პროგრამით**

**რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით**

06.30 — საბალეტო მუსიკის კონცერტი, 07.35—„პიონერთა დაფიონი“, 12.15 — რუს კომპოზიტორთა რომანსები, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა სავიოლინო პიესები, 17.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის — რუმინული მუსიკალური ზღაპარი „პრიკინდელი და მირუნციკა“, 19.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 20.00 — ვერდის ოპერა „აიდას“ ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან, სპექტაკლში მონაწილეობენ რუმინელი მომღერლები ზინაიდა პალი და გეორგ ზობიანი.

**რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე**

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის“ მიმოხილვა, 18.15-19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30-21.00 — გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

**თბილისის „დინამოს“ სტადიონი**

**4 ნოემბერს**

**ფ ე ხ ბ უ რ თ ი**

სსრ კავშირის პირველობა „ბ“ კლასის გუნდებს შორის

**„ავანგარდი“ (ჩელიაბინსკი) — ოფიცერთა სამხარეო სახლი (თბილისი)**

დასაწყისი 3 საათზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 2 ნოემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონისა და კიროვის სახელობის პარკის სალაროებში. თამაშის დღეს ბილეთები გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის აღმოსავლეთის მხარეს (ბრძოლის ქ. № 2) და კიროვის სახელობის პარკის სალაროებში დილის 10 საათიდან.

მშობლები მარიამ, მიხეილ, მეუღლე მაყვალა ნათესავებით იუწყებიან

**კოტე მიხეილის-ძე ბაჯიევის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-XI, 8 ს. გამოსვენება 4-XI, 3 ს. საზოგადოების ქ. № 6.

შვილი რეზო კობერიძე, დები ლოლა, რებეკა, ძმა სერგო ტაბიძეები იუწყებიან

**ნინო მიხეილის ასულ ტაბიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-XI, 8 ს. გამოსვენება 4-XI, 2 ს. იყალთოს ქუჩა, ბარაკი № 3.

შვილები საშა, თამარ, ნუცა, ბაბუცა, რძალი ლიანა, სიძეები ს. კალაძე, გ. ხიდაშელი, დები პარასკევა, ვარო, მელაშა ოჯახებით იუწყებიან

**ნიკოლოზ გახუს-ძე ქუთათელაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-XI ზუგდიდში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 166.

შვილი გრიგოლ, რძალი ლუბა მესხები შვილებით იუწყებიან

**მარიამ ივანეს ასულ მესხის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-XI, 8 ს. გამოსვენება 3-XI, 4 ს. მელიქიშვილის ქ. № 1.

მეუღლე გაბრიელ, შვილები ლიზა, სონია, ვასილ, არჩილ, ნიკოლოზ, ოთარ, სიძე ვ. მელაძე, რძლები ლუბა, სუსანა, ლამარა იუწყებიან

**ელენე გრიგოლის ასულ წიკლაურის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-XI სოფელ ორბეთში (მანგლისის რ.).

ტყ 06350 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.